ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „ახალი თაობა“ + მარკო პოლო 8 ლარი




სამშაბათი, 8 ნოემბერი, 2011 №265 (5645) ფასი: 30 თეთრი

გვ.2

# ივანიშვილი 60 ათას დამკვირვებელს მოამზადებს



## ნუგზარ წიკლაური: „ივანიშვილი არის ხმა პოლიტიკური სამარიდან“



გვ.2



გვ.4

## სააკაშვილს პარლამენტი ქუთაისში ვადაზე ადრე გადააქვს

## რატომ არ ახსენებს სააკაშვილი ივანიშვილის სახელს

გვ.3



## შალვა ნათელაშვილი: „საშემოდგომო დაუმრჩილებლობა გაგრძელდება“

გვ.2



## ვინ ვინ არის



გვ.5



გვ.6

## ნინო კალანდაძე: „სომხეთთან პრობლემები არ გვაქვს!“

## სააკაშვილი ყველანაირად ეცდება, არჩევნები დააჩქაროს



გვ.7

## აქცია! „ახალი თაობა“ + ვაჟა-ფშაველა 5 ლარი




ISSN 1987-9385

**4** თერთმეტმა ჯარისკაცმა რადიაციული დასხივება მიიღო

რატომ დააკისრეს სახელმწიფოს 4-მილიონიანი კომპენსაციის გადახდა

**5** „ყველა მოაზროვნე ადამიანი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ქვეყნის სათავეში სისხლიანი რეჟიმია“

**6** ნუ შეჭამთ საარჩევნო სიების შესამოწმებელ თანხებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნუგზარ წიკლაური: „ივანიშვილი არის ხმა პოლიტიკური სამარიდან“

თეა მარხვაიძე

ასე თუ გააგრძელა, წიკლაური საუკეთესო ბიძინოლოგი იქნება საქართველოში. მისი ინტერვიუები და განცხადებები თითქმის ზეპირად იცის. თავისი კომენტარები მან არც გუშინ დაინანა და ივანიშვილს პოლიტიკურ სამარეში ჩარჩენილი უწოდა. და არც ძველი შეფასება დავიწყნია. აი ის, პუტინის პროექტს რომ ეძახის.

წიკლაური კმაყოფილებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ვერ შეინარჩუნა. ის ნიშნის მოგებით საუბრობს, რომ საქართველოს მოქალაქეობა მას ვერც მილიარდებმა შეუნარჩუნაო.

საინტერესოა ივანიშვილის ბიოგრაფ წიკლაურს ასეთი ანტიბიძინური განწყობა მაშინ რატომ არ გაუჩნდა, როცა ის ნაციონალებს აფინანსებდა.

– საქართველოში პარტიის შექმნა ყველას შეუძლია, თუმცა, განსაკუთრებული შეზღუდვები და შეღავათები არავის მიეცემა, ისევე როგორც მოქალაქეობის დაკარგვისას ივანიშვილი რუსეთში დაგროვილმა მილიარდებმა ვერ იხსნა, – ამაყად განუცხადა ჟურნალისტებს ნუგზარ წიკლაურმა.

ამასთან, წიკლაურმა ჰუმანურობა გამოამჟღავნა. და მედიას პირობა მისცა, რომ ჭეშმარიტ ქართველებს პარტიების შექმნაში ნაციონალები ხელს არ შეუშლიან.

– ყველა იმ ადამიანს, ვისაც პოლიტიკური აქტივობის სურვილი აქვს, პოლიტიკურ გზაზე შეფერხება არ ექნება, თუმცა, მთავარია, რომ ქართველი ხალხის არნახული კონსოლიდაცია მოხდა. ეს პროექტი რუსულია, თუმცა, ეს პროექტი საქართველოში არ გავა და ეს ყველამ ჩაიბეჭდოს თავში, განსაკუთრებით ივანიშვილმა, – განაცხადა დეპუტატმა.

ისე, როგორ ეტყობა წიკლაურს ოდესღაც გამომცემლობაში, რომ მუშაობდა. სხვა ნაციონალი ჩაბეჭდვას ხომ არ ახსენებდა.

წიკლაურმა ივანიშვილისა და ნინო ბურჯანაძის შესაძლო თანამშრომლობაზეც

> როგორც ჩანს, ნაციონალებმა ბიძინა ივანიშვილს ნუგზარ წიკლაური მიუჩინეს პერსონალურ მცველად. მცველი პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგოთ, წიკლაური ისეთი მცველია, ფეხბურთში რომ არის ხოლმე. ისიც ბრწყინვალედ ასრულებს მწვრთნელის მითითებებს და დაუკომენტარებელს მის არც ერთ განცხადებას არ უშვებს.


ნუგზარ წიკლაური

გაამახვილა ყურადღება.

– საზოგადოებაში კითხვები არსებობდა, ივანიშვილი ყველაზე უფრო მიუღებელ ოდიოზურ პოლიტიკურ ძალებთან ითანამშრომლებდა თუ არა, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ეს ადამიანი იმ პოლიტიკოსებთან ურთიერთობას აპირებს, რომლებიც კრემლთან პირდაპირ არიან დაკავშირებულები. ეს თითქოს, ჩვენთვის კარგად დავიწყებულია, მაგრამ გასაგებია, რომ ეს ახალი პროექტია, რომელიც არის ხმა ღრმა პოლიტიკური სამარიდან. ოდიოზური ლიდერების მხრიდან, რუსული ინტერესი, საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობა და საქართველოში ე.წ. რუსული გრავიტაციული ველის გავრცელების ინტერესი ვერასოდეს დადასტურდება. ამის დასტურად, ამ მოღალატეობრივი ადამიანების წინააღმდეგ, ქართველი საზოგადოებისა და პოლიტელიტის კონსოლიდაციას მოგიყვანთ, – დასძინა წიკლაურმა.

ივანიშვილთან დაკავშირებით მართლაც ბევრი კითხვა არსებობს. ოღონდ საინტერესო ისაა, ამ კითხვებმა ნაციონალებს ცოტა ადრე რატომ არ შეუღიტინა. თუნდაც ამ ზაფხულს. რაღა მაშინ გახდა ეს კაცი პუტინის ავანგარდი, როცა ოპოზიციაში მოსვლის სურვილმა მოუარა.

ისე, ივანიშვილსაც რატომ არ გაუჩნდა ის კითხვები ნაციონალებთან, რაც დღეს აქვს. გასაგებია, მაშინ მასაც აწყობდა სააკაშვილი.

ისე, აზრის შეცვლის უფლება ყველას აქვს. აი, მაგალითად წიკლაური ავიღოთ. რაც თავი გვახსოვს, სულ მხედრიონს ლანძღავდა. ნუგზარი გამსახურდიას მომხრეა.

მერე ისე მოხდა, რომ ის და მხედრიონელი ნიკა რურუა ერთად აღმოჩნდნენ ნაციონალებში. როცა ჰკითხეს, რურუასთან როგორ ხარო, უპასუხა, ჩემთვის პატივია მასთან თანამშრომლობაო.

რურუაზე რაკი ვსაუბრობთ, ამბობენ, რომ ის ოპოზიციაში გადავა. თუ ასე მოხდა, საინტერესოა, რას იტყვის მასზე წიკლაური?

# ივანიშვილი 60 ათას დამკვირვებელს მოამზადებს

შალვა ჯოხაძე

უცხოელ დიპლომატებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა მორიგი მასშტაბური შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართა. შეხვედრას ექსპერტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადამიანის უფლებათა დამცველები დაესწრნენ, სულ – 80 ადამიანი. ამჯერად, შეხვედრა არა ივანიშვილის სასახლეში, არამედ „ქორთიარდ მარიოტში“ შედგა. შეხვედრა-და ივანიშვილმა.

ივანიშვილს საკუთარ მოვალეობად მიაჩნია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად საზოგადოების გააქტიურება მოახერხოს.

– ჩვენ უნდა გავზარდოთ აქტორების რაოდენობა, ვინც მოახერხებს, წინააღმდეგობა გაუწიოს უკანონობას. ამ მხრივ, ჩვენ ჩვენს გუნდთან ერთად, მუდმივად ვიქნებით თქვენ გვერდით. აქტორების გაზრდის საშუალებით, ჩვენ უნდა მოვახერხოთ რეპრესიული მანქანის მოქმედების შესუსტება...

მე ვიქნები სამოქალაქო საზოგადოების სტრატეგიული


ბიძინა ივანიშვილი

ზე გაირკვა, რომ ივანიშვილი ჯერ ხელისუფლებაში მოსვლას აპირებს, პოლიტიკური კარიერის დასრულების შემდეგ კი მესამე სექტორში გადაინაცვლებს და არასამთავრობო მიმართულებით განაგრძობს მუშაობას. თუმცა, პოლიტიკოსობამდე ის არასამთავრობოს ლიდერი ხდება, ივანიშვილი ხომ მოძრაობა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელად უნდა მოგვევლინოს, რომლის პრეზენტაციის თარიღიც უკვე გარკვეულია. ივანიშვილი არასამთავრობოებს გამოუტყდა, რომ სამოქალაქო სექტორის აქტიურ წევრად ყოფნის სურვილი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც ჰქონდა, თუმცა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, როდესაც „მეცხრე არხითურთ“ ხელისუფლების სადარაჯოზე დარჩენა ვერ იკადრა.

– ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, დავუშვი დიდი შეცდომა, როდესაც ჩავთვალე, რომ მოვიდა ის ხელისუფლება, რომელიც ქართველი ხალხისთვის საოცნებო იყო და მთავრობის ქმედებებზე კონტროლი ვერ მოვახერხე...

რაღაც პერიოდის განმავლობაში გამოვეთიშე გარკვეულ პროცესებს და ვერ მოვახერხე, საზოგადოებასთან ერთად ზომიერი კონტროლი განმეხორციელებინა მთავრობის ქმედებებზე. დღეს მთავრობამ თავის იდეოლოგიად გაიხადა ძალადობა. ხშირ შემთხვევაში იმის მიუხედავად, რომ ძალის გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს, ისინი მიზნობრივად ახორციელებენ ძალადობას, რათა მოსახლეობაში შიში დანერგონ და მიაღწიონ მასების პასიურობას. ეს გარკვეულწილად მიღწეულია კიდეც, – განაცხადა პარტნიორი. პოლიტიკაში მოღვაწეობის დასრულების შემდეგ (იმედი მაქვს, რომ ეს ხანგრძლივი პერიოდი არ იქნება, არამედ – იმდენი, რამდენიც აუცილებელი გახდება იმ პროცესების დასასრულებლად, რის შესახებაც მოგახსენეთ) სამოქალაქო სექტორში ვაპირებ დარჩენას და ჩემი მუდმივი სტრატეგია იქნება, საზოგადოებასთან ერთად მივაღწიოთ იმას, რომ მთავრობა ანგარიშვალდებული იყოს სამოქალაქო სექტორის წინაშე და არა პირიქით, როგორც ეს დღეს არის... მინდა, ერთად შევიმუშავოთ სამოქმედო გეგმა, თუ როგორ დავუდგეთ ძალადობის მანქანას და როგორ შევძლოთ საზოგადოების რაც შეიძლება დიდი ნაწილის ჩართვა ამ პროცესში, – განუცხადა ივანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

შეხვედრის ძირითადი ნაწილი ჟურნალისტებისათვის დაიხურა, თუმცა გაირკვა, რომ ძირითადად, საუბარი ადამიანის უფლებების დაცვისა და არჩევნების საკითხს შეეხო.

შეხვედრის ბოლოს ივანიშვილი ჟურნალისტებთან მოკლე კომენტარით შემოიფარგლა:

– ძალიან ბევრ საკითხზე იყო საუბარი. შეხვედრა გამოსვლებისა და სიტყვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მე მოვახერხე, რომ გამეცნო ძალიან საინტერესო საზოგადოება, ძალიან ბევრი შეკითხვა და ჩანიშვნა გავაკეთე და უახლოეს მომავალში უფრო ახლო თანამშრომლობას კონკრეტულ თემებსა და პროექტებზე ვაპირებ. მე ვნახე

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# ლეიბორისტებმა მიტინგზე პრეზიდენტ ბარაქ ობამასადმი მიმართვა მიიღეს

პარლამენტის შენობის წინ ლეიბორისტული პარტიის ორგანიზებით გამართული მიტინგი დასრულდა. მიტინგის მონაწილეებმა რეზოლუცია მიიღეს და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბარაქ ობამას მიმართეს.

„მოგმართავთ თბილისში დაუმორჩილებლობის მიტინგის მონაწილენი. ვადასტურებთ უდიდეს პატივისცემას ამერიკელი ხალხისა და თქვენდამი. სამწუხაროდ, ამერიკის პოლიტელიტის უმრავლესობა საქართველოს აიგივებს დიქტქატორ სააკაშვილთან და მის დანაშაულებრივ ხროვასთან. სწორედ ასეთი მიდგომის გამოა ჩვენს უძველეს მრავალ ჭირნახად ქვეყანაში დამყარებული დაუსჯელი დიქტატურა და ტერორისტული რეჟიმი, სადაც დემოკრატიაზე, თავისუფალ არჩევნებზე, დამოუკიდებელ ბიზნესზე და მასმედიაზე, ასევე თავისუფალი სასამართლოზე მხოლოდ ოცნება და ნოსტალგია დაგვრჩა. მოვითხოვთ, შეწყდეს სააკაშვილის რეჟიმის მიმართ ამერიკის სახელმწიფოს პოლიტიკური მხარდაჭერა, ხოლო ამერიკულმა ინსტიტუტებმა ხელი აიღონ საქართველოში მომავალი არჩევნების გაყალბებისა და მათთვის სასურველი ხელისუფლების მოყვანის შორს გამიზნულ გეგმებზე. ჩვენს ქვეყნებს და ხალხებს შორის არსებულ ურთიერთობებს ნუ შევწირავთ სააკაშვილის კრიმინალური ხროვის ბედნიერებასა და კეთილდღეობას“, – ნათქვამია რეზოლუციის ტექსტში, რომელსაც ხელი მომიტინგეებმაც მოაწერეს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილის განცხადებით, დღევანდელი აქციის უმთავრესი მიზანი მოსახლეობაში ხელისუფლების მიმართ არსებული უკმაყოფილების დემონსტრირება იყო.

მისივე თქმით, მსგავსი აქციები მომავალშიც გაგრძელდება.

ლეიბორისტული პარტიის ეგიდით მომდევნო აქცია 23 ნოემბერს ვაშინგტონში, თეთრი სახლის ადმინისტრაციასთან იგეგმება. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაგეგმილ აქციაზე ზემოხსენებული მოთხოვნები კიდევ ერთხელ იქნება დაფიქსირებული.

ინტერპრესნიუსი


შალვა ნათელაშვილი

# შალვა ნათელაშვილი: „საშემოდგომო დაუმრჩილებლობა გაგრძელდება“

„ლეიბორისტული პარტიის“ ხელმძღვანელის შალვა ნათელაშვილის განცხადებით, „დღევანდელი აქციის მიზანია, მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რომ ქართველი ხალხი არ დამარცხებულა, არ დანებდება და აუცილებლად გაიმარჯვებს“.

„საშემოდგომო დაუმრჩილებლობა აუცილებლად გაგრძელდება, რადგან ამ ხელისუფლების არჩევნების გზით დამარცხება შეუძლებელია. სანამ მერაბიშვილი და სააკაშვილი თავიანთი კაბინეტებიდან იყურებიან, საქართველოში მშვიდობა ვერ იქნება. ისინი მათ მიერვე აშენებულ ციხეებშივე უნდა გამოვამწყვდიოთ. მჯერა, რომ ერთ-ერთ ასეთ აქციაზე სააკაშვილს ბეჭებზე დავცემთ“,– განაცხადა პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე „ლეიბორისტების“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა.

მისივე თქმით, „ქართველები რუსეთს აუცილებლად დაუმეგობრდებიან, რადგან დაუშვებელია, სააკაშვილი რუსებთან ერთად ქეიფობდეს, საქართველოს მოსახლეობას კი რუსეთში პროდუქცია ვერ გაჰქონდეს და შიმშილით კვდებოდეს“.

ცნობისთვის, პარლამენტის წინ „ლეიბორისტების“ მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია ამ წუთებშიც მიმდინარეობს.

პირველი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ არ ახსენებს სააკაშვილი ივანიშვილის სახელს

შალვა ჯოხაძე

ქვეყანაში ძალიან უცნაური სიტუაციაა, პირველ პირად მიხეილ სააკაშვილი რჩება, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ფუგურა ბიძინა ივანიშვილია. ქართული თუ უცხოური მედიის ყურადღება ჩვენს პოლიტიკაში შემოჭრილი ამ პერსონის გარშემოა კონცენტრირებული და პრეზიდენტის აქტივობები სერიოზულად იჩრდილება. მხოლოდ მთავრობის „ჯიბის ტელევიზიები" თუ აშუქებენ, როგორ მიულოცა სააკაშვილმა ყურბან-ბაირამის დღესასწაული საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანებს, როგორ ისაუბრა პრეზიდენტმა ქართული ღვინის მიერ მოპოვებულ წარმატებაზე. ამ გამოსვლებში სააკაშვილს ემჩნევა, რომ მთლად კარგ ხასიათზე ვერაა. მისი ხასიათის გაფუჭების მიზეზი ყველამ იცის, თუმცა სააკაშვილი ამას საჯაროდ არ აღიარებს. ძალიან უცნაურია, რომ ჩვენი აქტიური პრეზიდენტი, რომელიც ყველასა და ყველაფერზე საჯაროდ საუბრობს ხოლმე, ახლა ჩუმადაა, აწ უკვე საკუთარი პოლიტიკური ოპონენტის, ბიძინა ივანიშვილის სახელი დღემდე არ წარმოუთქვამს. ეს საჯაროდ, თორემ, საკუთარი გუნდის წევრებთან ამ სახელს აშკარად ყველა ბრუნვაში ატრიალებს.

ისიც აშკარაა, რომ ნაციონალების დიდი თავყრილობა, რომელიც გუშინ შედგა, ივანიშვილს მიეძღვნა. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობა და თვით სააკაშვილი ივანიშვილს საჯაროდ ისევ იგნორირებას უკეთებს. ოფიციალური ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობის წევრებთან მთავრობის ათპუნქტიანი გეგმა და 2012 წლის ბიუჯეტი განიხილა. საუბარი შეეხო ასევე იმ პროექტებს, რომელიც მომავალ წელს უნდა დაფინანსდეს. სააკაშვილის თქმით, 2012 წლის პრიორიტეტად სოციალური სფერო, ეკონომიკა და ინფრასტრუქტურის განვითარება რჩება. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად კი, საქართველოს ბიუჯეტი ეკონომიკურ ზრდაზეა ორიენტირებული. აი, ასე, სააკაშვილი ცდილობს ივანიშვილის ფული გადაფაროს და ამისათვის დაპირებების მთელი დასტა აქვს გამზადებული...

პიარის სპეციალისტის, სოსო გალუმაშვილის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენასთან დაკავშირებით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დუმილი მართლაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, ასეთი დიდი პაუზა მას არც ერთ თემაზე არ ჰქონია. გალუმაშვილის თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილს საქმე საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგესთან აქვს, ივანიშვილის პოლიტიკური შანსები რაც უფრო მაღალი იქნება, პრეზიდენტის დუმილიც ამ თემაზე მით მეტხანს გაგრძელდება.

პიარტექნოლოგიის თვალსაზრისით, პრეზიდენტის დუმილი რამდენიმე მიზეზით აიხსნება.

– ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს. თანაც სააკაშვილი საერთაშორისო საზოგადოების განწყობასა და ივანიშვილის გარშემო მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებს აკვირდება. ასევე, აკვირდება ქართველი საზოგადოების რეაქციებს. როგორც ჩანს, სახელისუფლებო გუნდშიც ხვდებიან, რომ გარკვეული შეცდომები დაუშვეს, რამაც საზოგადოების ივანიშვილისადმი მხარდაჭერა კიდევ უფრო გაამძაფრა.

სავარაუდოდ, პრეზიდენტი ამ თემაზე კომენტარს მაშინ გააკეთებს, როდესაც ვითარების მთლიანი სურათი ექნება სახეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილის დუმილის ხანგრძლივობა უპრეცედენტოა. ამდენი ხანი არც ერთ თემაზე არ გაჩუმებულა. ალბათ კონკრეტული კვლევის შედეგებსაც ელოდება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელისუფლება მუდმივად უკვეთავს გამოკვლევებს და ამ გამოკვლევების შედეგებიდან გამომდინარე გეგმავს ბევრ რამეს. დაელოდება მომენტს, როცა ივანიშვილის წინააღმდეგ რამე ხელჩასაჭიდს იპოვის, – განუცხადა „მედიანიუსს" გალუმაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი საერთაშორისო განწყობებს რომ აკვირდება, იმიტომაა ასე ჩუმად, ის ივანიშვილის საწინააღმდეგოს ვერაფერს იტყვის, რადგანაც უცხოელი დიპლომატები ახლა სწორედ ბიძინა ივანიშვილს თანაუგრძნობენ. აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი მედიასთან საუბრისას კვლავ აფიქსირებს, რომ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით ხელისუფლების მოქმედებები მართებული არ არის. რამდენიმე დღის წინ ამერიკის ელჩი გურიას სტუმრობდა, სადაც „გურია ნიუსს" ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი ესაუბრა.

**ჯონ ბასი:**

– ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბატონი ივანიშვილის საქართველოს მოქალაქეობის თემა გახლავთ საქართველოს და საქართველოს სასამართლოების კომპეტენციის საკითხი და მათი გადასაწყვეტია. ეს გახლავთ სამართლებრივი პროცესი, რომელსაც ჩვენც ვაკვირდებით და გვსურს, რომ გადაწყვეტილება, რომელიც იქნება მიღებული, იყოს საქართველოს იურისპრუდენციის შესაბამისი, ხოლო შემდგომი პროცედურები განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე...

რაც შეხება პრესკონფერენციას, გამაკვირვა იმან, თუ როგორ მიუდგა ზოგიერთი ჟურნალისტი პრესკონფერენციის მსვლელობას, თუ როგორ იყენებდნენ ისინი ამ შესაძლებლობას. მე პირადად ვისურვებდი, რომ მეტი კითხვა დასვან ჟურნალისტებმა და ნაკლები განცხადება აკეთონ. ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ჟურნალისტი უფრო ალეგორიულად და ფარული კონოტაციებით საუბრობდა და არ სვამდა პირდაპირ კითხვებს. დასანანია, რომ საქართველოს საზოგადოებამ ამ პრესკონფერენციის შედეგად ვერ შეძლო მიეღო პასუხები კითხვებზე, ვინ არის ბატონი ბიძინა ივანიშვილი, რისი სჯერა მას და როგორ ესახება იმ გამოწვევების დაძლევა, რომელიც დგას ამჟამად საქართველოს წინაშე. ვიმედოვნებ, რომ მომავალში კვლავ ექნებათ შესაძლებლობა ჟურნალისტებს, თქვენ და თქვენს კოლეგებს, რომ გააკეთოთ რეპორტაჟი და მიიღოთ კითხვებზე პასუხი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურებისგან, თუ ასეთად იქცევა ივანიშვილი. ასევე, გაეცნოთ პოლიტიკური პარტიების ხედვებს, განსაკუთრებით, მომავალ წელს ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნების წინ.


ჯონ ბასი

აღვნიშნავ იმას, რაც არაერთხელ მითქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერს მხარს რომელიმე კონკრეტულ პირს ან კონკრეტულ პარტიას; შეერთებული შტატები დაინტერესებულია, საქართველომ გააძლიეროს მისი დემოკრატიული ინსტიტუტები, დემოკრატიული კულტურა და გააძლიეროს ლეგიტიმურობა არსებული ინსტიტუტებისა. რაც შეეხება ჯერ საპარლამენტო, ხოლო შემდეგ საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიას და საარჩევნო პერიოდს, ჩვენ ძალიან აქტიურები ვიქნებით და ძალიან აქტიურად დავაკვირდებით, რათა უზრუნველვყოთ, რომ ის გარემო, რომელიც იქნება, იყოს კონკურენტული, იყოს სამართლიანი და იყოს გამჭვირვალე ყველა კანდიდატისთვის, ყველა პირისთვის და ყველა მოქალაქისთვის საქართველოში. ნაწილობრივ, ჩვენ ვცდილობთ ამას მივაღწიოთ ტრენინგებით და იმ დახმარებით, რომელსაც გავუწევთ საარჩევნო ადმინისტრაციას. ეს ნაწილობრივ გულისხმობს მიმდინარე ტრენინგს, რომელსაც ჩვენ ვუწევთ პოლიტიკურ პარტიებს. ამას უკვე რამდენიმე წელია ვაკეთებთ და გავაგრძელებთ ახლო მომავალში. ამ პერიოდში დავაკვირდებით, თუ როგორ ურთიერთმოქმედებენ პარტიები, განსაკუთრებით კი ხელისუფლებაში მყოფი პირები როგორ იყენებენ მათ პოზიციას. ძალიან ყურადღებით მივიღებთ იმ ინფორმაციას, რომელიც შემოვა შესაძლო ქმედებების შესახებ, რომლებიც შეიძლება იყოს მიმართული კონკურენტული ბალანსის შესაცვლელად და გადასაწონად ერთ-ერთ მხარეს. ჩვენ ასეთი ფაქტების ან შესაძლო ფაქტების შესახებ შევატყობინებთ შესაბამის ორგანიზაციებს, ადამიანებს. ზოგჯერ შეიძლება ეს იყოს საჯარო, ზოგჯერ შეიძლება არ გაკეთდეს საჯარო განცხადება, მაგრამ ამის შესახებ კერძო საუბრებში შევატყობინებთ, რაც ჩვენ ადრეც გაგვიკეთებია. ნებისმიერ შემთხვევაში შევეცდებით, რომ გამოსწორდეს არსებული ვითარება ან არ გამეორდეს მომავალში.

## ივანიშვილი 60 ათას დამკვირვებელს მოამზადებს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

საზოგადოება, რომელიც გვერდში დამიდგება იმ მიზნების მისაღწევად, რომელიც ჩვენს გუნდს გააჩნია. სამოქალაქო სექტორსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე ძალიან დიდ იმედს ვამყარებ, – განაცხადა ივანიშვილმა.

კონკრეტულად, რა ვითარებაში წარიმართა დახურული შეხვედრა, ამის შესახებ „ახალ თაობას" ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელი, ნინო ლომჯარია გაესაუბრა. ლომჯარიას თქმით, საარჩევნო თემატიკაზე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დასვეს შეკითხვები.

**ნინო ლომჯარია:**

– არჩევნებთან დაკავშირებით ორი შეკითხვა დასვეს ჩემმა კოლეგებმა. თუმცა, კონკრეტული პასუხები ამ კითხვებზე ივანიშვილის მხრიდან არ ყოფილა. მაგალითად, იყო შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი საარჩევნო სისტემის მომხრეა ივანიშვილი, რას დაუპირსპირებს ის გაყალბებას. ამაზე ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ მისი გუნდი მოემზადება, მოამზადებს ადამიანებს, რომ თავიდან აიცილონ გაყალბება. თუმცა ამ გუნდზე, გეგმებზე მას კონკრეტული ინფორმაცია ჩვენთვის არ მოუწოდებია.

ამ თემის გარდა, დაისვა ადამიანის უფლებათა, პატიმრების მდგომარეობის საკითხებიც. თუმცა, უფრო მეტად საუბრობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და არა ივანიშვილი. ის ისმენდა, რაღაცებს ინიშნავდა და აცხადებდა, რომ ამ ყველაფერზე უნდა იფიქროს. გვითხრა, თქვენც უნდა იფიქროთ და შემოგვთავაზოთო.

რაც შეეხება სამომავლო გეგმის დასახვას, ამაზეც ზოგადად იყო საუბარი, რომ თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს. ითქვა, რომ ეს არ იქნება ბოლო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. სხვა შეხვედრები სამუშაო და თემატური ხასიათისა იქნება. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილიც იმაზე საუბრობს, რომ საუბარი საკმაოდ ზოგადი იყო.

– დაისვა კითხვები სოფლის მეურნეობიდან დაწყებული, ადამიანის უფლებებით დამთავრებული. ეს არ იყო სამუშაო ფორმატის შეხვედრა, რომელზეც რაიმე საკითხის დეტალურად განხილვა შეიძლებოდა. გააკეთა ზოგადი კომენტარი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს არასამთავრობო სექტორის როლი, რათა ისინი თავიანთ მანდატს არ გასცდნენ და დარჩნენ ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ერთგულნი, – განაცხადა ჩუგოშვილმა.

საარჩევნო პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა კახა კახიშვილმა კი შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილი არჩევნებზე დასაკვირვებლად 60 ათასი ადამიანის გადამზადებას აპირებს, რომ მზად არის არჩევნებში გამარჯვებისთვის, თუმცა, როგორ გაიმარჯვებს ამ საარჩევნო გარემოს პირობებში, კახიშვილის თქმით, ამაზე არ უსაუბრია.

– მან თქვა, რომ 2003 წლის რევოლუციის შემდეგ „მე-9 არხი" ერთ-ერთ ტელევიზიას ჩააბარა. ახლა არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, თუ ვინმეს მოიყვანს, ბერკეტი აღარავის უნდა გადააბაროს. შეხვედრაზე გავიგეთ, რომ ისინი 60 ათასი ადამიანის გადამზადებას აპირებენ, რათა ჰყავდეთ დამკვირვებლები, თუმცა, მთავარია მოსახლეობის ნდობის შენარჩუნება და ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის მისვლა საარჩევნო უბანზე. სურათს რეალურად მხოლოდ ეს შეცვლის. თუ არჩევნებისთვის ემზადები, კარგი იქნება საარჩევნო გუნდის შექმნაზეც იზრუნო, – განაცხადა კახიშვილმა.

## ალასანია დევნილებს გვერდში დგომას ჰპირდება

„თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა, ირაკლი ალასანიამ გორის რაიონში, ბერბუკის დასახლებაში მცხოვრები დევნილები მოინახულა.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობიდან დევნილები 2008 წლიდან ამ დასახლებაში კოტეჯებში ცხოვრობენ.

ირაკლი ალასანიას ინფორმაციით, მათთვის არც ერთი პრობლემა მოგვარებული არ არის. მისივე თქმით, დევნილები ზამთარს მოუმზადებლები ხვდებიან, აქვთ გათბობის პრობლემა, არიან დაუსაქმებლები, რის გამოც საკუთარი თავის რჩენის შესაძლებლობა არ აქვთ.

– აქ მაცხოვრებლებს არც მიწების დამუშავება შეუძლიათ, რადგან მათ ტექნიკით არ


ირაკლი ალასანია

ეხმარებიან და არც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო დახმარებას იღებენ. არადა დაპირებები ძალიან ბევრი იყო, მათ შორის ისიც, რომ ამ კოტეჯებს დაუკანონებდნენ, თუმცა ჯერჯერობით ეს საკითხი გადაუწყვეტელი რჩება, – განაცხადა ალსანიამ.

როგორც „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი აღნიშნავს, ეს ადამიანები, რომლებმაც თავის თავზე გადაიტანეს ყველაზე მძიმე უბედურება – ომი, დაკარგეს უამრავი ახლობელი, სახლები და ეზოები, დღეს სახელმწიფოსგან მიტოვებულები არიან, რაც მათში დიდ იმედგაცრუებას იწვევს.

– ამ ადამიანებს სჭირდებათ იმედი; ერთადერთი იმედი, რაც მათ გააჩნიათ არის ის, რომ ეს ხელისუფლება შეიცვლება და ქვეყნის სათავეში ადამიანთა ისეთი ჯგუფი მოვა, ვინც მათ პრობლემებს გულთან ახლოს მიიტანს. დარწმუნებული ვარ მეც და დევნილებიც, რომ ეს დღე ძალიან მალე დადგება, – განაცხადა ალასანიამ.

ინტერპრესნიუსი

## გოკა გაბაშვილის მტკიცებით, ვადამდელი არჩევნები გამორიცხულია

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, გოკა გაბაშვილის მტკიცებით, ვადამდელი არჩევნები გამორიცხულია.


გოკა გაბაშვილი

როგორც „ინტერპრესნიუსს" გოკა გაბაშვილმა პრეზიდენტის დღევანდელი განცხადების კომენტირებისას უთხრა, მომდევნო საპარლამენტო არჩევნები გაიმართება მაშინ, როგორც ეს კონსტიტუციით არის განსაზღვრული.

26 მაისს პარლამენტის სხდომის გამართვასთან დაკავშირებით კი გოკა გაბაშვილი ამბობს, რომ მოიძებნება ისეთი ფორმა, რომელიც გარკვეული პრეზენტაციის სახეს მისცემს პარლამენტის სხდომას და ამავდროულად საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას გამორიცხავს.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დღეს განაცხადა, რომ ქუთაისში პარლამენტის პირველი სხდომა 2012 წლის 26 მაისს ჩატარდება.

– ჩვენ ყველა ერთად შევთანხმდით, რომ პარლამენტის პირველი სხდომა 26 მაისს ჩატარდება ქუთაისში. არა მარტო ერთი სხდომა, არამედ, პარლამენტი მზად იქნება, რომ ატაროს სხდომები ქუთაისში, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ქუთაისში რამდენიმე დღეში გაიხსნება ასევე მთავრობის სახლი.

– მთავრობის სახლი სიდიდით ცოტათი ჩამორჩება სახელმწიფო კანცელარიას, მაგრამ მოხერხებულობით ბევრად უფრო აღემატება ყველა სამთავრობო შენობას საქართველოში, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

ინტერპრესნიუსი

## პარლამენტი დეპუტატ გურამ მისაბიშვილს უფლებამოსილებას შეუწყვეტს

პარლამენტი პლენარულ სხდომაზე დეპუტატ გურამ მისაბიშვილს უფლებამოსილებას შეუწყვეტს. საკითხი პლენარული სხდომის დღის წესრიგში პარლამენტის ბიურომ შეიტანა. გურამ მისაბიშვილი სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი იყო და რამდენიმე კვირის წინ სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულად დაინიშნა. მისაბიშვილმა ზაზა გოროზია შეცვალა, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრად გადაიყვანეს.



სენაკს ამ მოწვევის პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატი აღარ ეყოლება. კანონმდებლობის თანახმად, შუალედური არჩევნები აღარ იმართება, თუ პარლამენტს უფლებამოსილების ამოწურვამდე ერთ წელზე ნაკლები აქვს დარჩენილი.

ინტერპრესნიუსი

შედით საიტზე atb.ge

„%!!

# სააკაშვილს პარლამენტი ქუთაისში ვადაზე ადრე გადააქვს

**ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ახალი მოწვევის პარლამენტს ახალ პარლამენტში მოუწევს მუშაობა. მართალია არც აქ ქრის და უბერავს, მაგრამ დეპუტატებს ახალი ურჩევნიათ. ეს გასაკვირიც არ არის. ამ პარლამენტში ადრე კომუნისტები დათარეშობდნენ და შენობაში რუსული სული ტრიალებს. ჩვენს პატრიოტ კანონმდებლებს კი ნატოს სტანდარტებისა და პატრიოტულ მოტივებზე აშენებული პარლამენტი სურთ.**

თეა მარხვაიძე

თუ სიმართლეა, ეს მიხეილ სააკაშვილმა მოინდომა, თორემ კანონმდებლები თბილისში ბევრად უკეთ გრძნობდნენ თავს. სააკაშვილმა რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, დანამდვილებით არავინ იცის. მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკურ არენაზე შემოიჭრა, გარკვეული ახსნები მოეძებნა სააკაშვილის გადაწყვეტილებებს.




მოგეხსენებათ, რომ ივანიშვილი საპარლამენტო არჩევნებზე აკეთებს აქცენტს. ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ის ამ არჩევნებს მოიგებს. ჰოდა, სააკაშვილმაც სიურპრიზი გაუკეთა. ივანიშვილს ხომ თავისი ჭორვილა ძალიან უყვარს. ჰოდა, ნაარჩევნებს რალა თბილიში იაროს ჭორვილიდან, ბარემ იქვე ჩაირბენს ქუთაისში.

პარლამენტის ახალი შენობის ასაშენებლად რამდენი ფული უნდა დაიხარჯოს, დანამდვილებით არავინ იცის. საპარლამენტო ოპოზიციამ ბევრჯერ გაინერვიულა თავი, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს. ნაციონალები ცოცხალი თავით არ აღიარებენ, რამდენი ჯდება ახალი პარლამენტის შენობის აშენება.

სამაგიეროდ ის ვიცით, რომ ეს შენობა იქნება თანამედროვე და ნატოს სტანდარტების. საქართველოზე ადრე პარლამენტის შენობა შევა ნატოსა და ევროკავშირში. ჭკვიანური გათვლაა, ჩვენ ნაწილ-ნაწილ თუ შევიპარებით იქ, თორე ერთიანად არავინ გვღებულობს.

ამას წინათ ხელისუფლებამ დიდი სიხარულით გვამცნო, რომ ახალ შენობაში პარლამენტი პირველ სხდომას მომავალი წლის 26 მაისს გამართავდა. გავრცელებული ინფორმაციით, 26 მაისს იქ სამხედრო აღლუმიც უნდა გაიმართოს.

გუშინ კი გაირკვა, რომ პარლამენტი ქუთაისში არა მარტო 26 მაისს, არამედ სამუდამოდ გადადის.

ამის შესახებ განცხადება მიხეილ სააკაშვილმა უმრავლესობასთან შეხვედრისას გააკეთა. ნაციონალებისა და მათი ლიდერის შეხვედრამ რამდენიმე საათს გასტანა.

პრეზიდენტთან მიმავალი ნაციონალები ამბობდნენ, რომ მაღალთან ბიუჯეტზე უნდა ემსჯელათ. პარლამენტი მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვას იწყებს. ამდენად, რა გასაკვირია, სააკაშვილსა და უმრავლესობას შორის შეხვედრა გაიმართებოდა.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ივანიშვილი გამოჩნდა, ადვილი მისახვედრია, რაზე იმსჯელებდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

შეხვედრის დიდი ნაწილი დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ნაციონალები დედას და პარტიის მზეს ფიცულობდნენ, ივანიშვილზე კრინტი არ დაგვიძრავსო.

ამას არავინ არ დაიჯერებს, ისევე, როგორც იმას, რომ პარლამენტი ქუთაისში ნაადრევად არაბიძინური მიზეზებით გადადის.

# თერთმეტმა ჯარისკაცმა რადიაციული დასხივება მიიღო

## რატომ დააკისრეს სახელმწიფოს 4-მილიონიანი კომპენსაციის გადახდა

შალვა ჯოხაძე

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, დასხივებული ჯარისკაცები სახელმწიფოსგან ყურადღებას ითხოვენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე რუსი სამხედროების მიერ დატოვებულ სამხედრო ნაწილებში ქართულ საჯარისო ნაწილებს სპონტანურად, ტერიტორიის კომპლექსური შესწავლის გარეშე ასახლებდნენ. არადა, შემდგომში, რამდენიმე სამხედრო ნაწილში რადიაციის კერები აღმოჩნდა. 90-იან წლებში ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში 11-მა ჯარისკაცმა რადიაციული დამწვრობა მიიღო. ეს ჯარისკაცები ხელისუფლებისგან ყურადღებას ითხოვენ, – აცხადებენ „ადამიანის უფლებათა ცენტრში“.

ლილოს სასწავლო ცენტრში, რომელიც ჯერ თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს გადაეცა, რადიაციული დამწვრობა ერთბაშად თერთმეტმა ჯარისკაცმა მიიღო. ამის მიზეზი ერთ-ერთი ჯარისკაცის – პავლე ელიაურის მიერ ნაპოვნი „ცეზიუმის“ კაფსულა აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე თექვსმეტამდე ასეთი კაფსულა იყო მიმობნეული. პავლე ელიაურის თქმით, თავდაპირველად, სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობამ ამ ფაქტის დამალვა სცადა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაზარალებულების მდგომარეობა უკიდურესად გართულდა და სკანდალმა ჟურნალისტების ყურამდე მიაღწია, ხელისუფლება იძულებული გახდა, დასხივებული ჯარისკაცების საქმე კონტროლზე აეყვანა.

ლილოს სასწავლო ცენტრში დასხივებული 7 ჯარისკაცი – გერმანიის, ხოლო 4 საფრანგეთის კლინიკებში გაიგზავნა. იქ ჯარისკაცებს რამდენიმე ძვირადღირებული ოპერაცია ჩაუტარდათ. ზურაბ ბალამწარაშვილი ერთ-ერთი ჯარისკაცია, რომელმაც 1997 წელს რადიოაქტიური დასხივება მიიღო. იმ დროს ის სავალდებულო სამხედრო სამსახურს დიდი ლილოს ტერიტორიაზე გადიოდა. მოულოდნელად, 11 ჯარისკაცს კანზე მრავალი წყლულოვანი დაზიანება აღმოუჩინეს და სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს. 7 თვის განმავლობაში ექიმები ზუსტ დიაგნოზს ვერ სვამდნენ. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ჯარისკაცები რუსული სამხედროების დანატოვარი რადიაციული ნარჩენებისგან იყვნენ დასხივებული.




მას შემდეგ 14 წელი გავიდა. საქართველოში დღემდე არ არსებობს ექიმი, რომელიც ჯარისკაცებს სათანადოდ უმკურნალებს. ისინი სახელმწიფოსგან თითქმის არანაირ დახმარებას არ იღებენ, თუ არ ჩავთვლით ერთჯერად დახმარებებს, რომელიც ანალიზებს და ექიმის კონსულტაციას არ ჰყოფნის, – აცხადებენ „ადამიანის უფლებათა ცენტრში“.

ზურა ბალამწარაშვილს 10 ოპერაცია აქვს გაკეთებული საზღვარგარეთ. სამშობლოში კი დახმარებაზე უარს ეუბნებიან. თავის დროზე, მას მდგომარეობა ისე გაურთულდა, ფეხის ამპუტაციას უპირებდნენ, მაგრამ საბედნიეროდ გადარჩა. თუმცა ამის შემდეგ დღემდე სჭირდება ექიმის მუდმივი მეთვალყურეობა, ანალიზები და წამლები.

ზურა ბალამწარაშვილს თავდაპირველად მეორე ჯგუფის ინვალიდობა მიანიჭეს. 2009 წლიდან კი პირველი ჯგუფის ინვალიდის სტატუსი მიიღო. საქართველოს რომელ კლინიკაშიც არ უნდა მივიდეს, ყველგან იბნევიან, როცა იგებენ, რომ დასხივებულია. ექიმებმა არ იციან, ფიზიკურად რა დაუნიშნონ, რით უმკურნალონ. ამ დარგის სპეციალისტები საქართველოში არ არსებობენ!

2004 წლამდე სამხედრო ძალების ვეტერანობა ჰქონდათ და გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ. თუმცა, ზურა ბალამწირაშვილს და მის მსგავსად დასხივებულ სხვა ჯარისკაცებს, 2004 წლიდან სახელმწიფომ ეს შეღავათიც მოუხსნა.

ჯარისკაცებს სარჩელი ჰქონდათ შეტანილი სასამართლოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მათ 4 სამინისტროს უჩივლეს და სასამართლო პროცესი მოიგეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, 11 დასხივებული ჯარისკაცის სასარგებლოდ სახელმწიფოს 4 მილიონზე მეტი ლარი უნდა გადაეხადა. დღემდე, ამ თანხის მხოლოდ მესამედია ანაზღაურებული. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს თანხა მათ ძალიან გამოადგათ. თუმცა, ამ ადამიანებს მუდმივად ესაჭიროებათ ექიმის მეთვალყურება, რასაც შესაბამისი დაფინანსება სჭირდება.

2008 წლიდან ზურა ბალამწარაშვილი ჯანდაცვის სამინისტროს დახმარებას სთხოვს, მაგრამ მას ყურადღებას არ აქცევენ. საინტერესოა, რომ ჯარისკაცი ფულს არ ითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ესაჭიროება ოპერაცია. ის ამჟამად ითხოვს, რომ პარლამენტმა დააყენოს საკითხი და შექმნას საკანონმდებლო ბაზა, რითაც დასხივებული ადამიანების ჯამრთელობა და სოციალური მდგომარეობა დაცული იქნება.

# „ქართული პარტია“ ბიძინა ივანიშვილს პროვოკაციური განცხადების გაკეთებაში ადანაშაულებს

„ქართული პარტია“ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს პარტიის თავმჯდომარის, სოზარ სუბართან დაკავშირებით პროვოკაციული განცხადების გაკეთებაში ადანაშაულებს.

ამის შესახებ „ქართული პარტია“ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ერთგვარი ეიფორია გამოიწვია. მიუხედავად „ქართული პარტიისა“ და მისი ერთ-ერთი ლიდერის, ეროსი კიწმარიშვილისადმი ბიზნესმენის ნეგატიური და საკმაოდ გაუგებარი შეფასებებისა, „ქართულმა პარტიამ“ არა მხოლოდ თავი შეიკავა მასთან ამ თემაზე პოლემიკაში შესვლისგან, არამედ სოზარ სუბარმა „ქართული პარტიის“ სახელით მასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ამასთან, ივანიშვილს ეროსი კიწმარიშვილმა საკმაოდ კონსტრუქციული თანამშრომლობა შესთავაზა ტელეკომპანია „მაესტროსთან“ მიმართებაში.




დღეს ივანიშვილისგან მოვისმინეთ მორიგი განცხადება იმის შესახებ, რომ სოზარ სუბარმა განცხადება გააკეთა „ქართული პარტიის“ დატოვების თაობაზე. მიუხედავად ბოლო დროს გარკვეულ მედიასაშუალებებში აგორებული კამპანიისა, თითქოს სოზარ სუბარმა პარტია დატოვა, მისგან ამის დამადასტურებელი განცხადება არავის უნახავს. ბიძინა ივანიშვილის განცხადება აღნიშნულის შესახებ აშკარად პროვოკაციულ ხასიათს ატარებს და, რბილად რომ ვთქვათ, გვაგონებს რუსეთში 90-იან წლებში ბიზნესის კეთების პრინციპს – „თუ ვერ ყიდულობ ქარხანას, უნდა იყოდო მისი დირექტორი“.

ჩვენი მიდგომა სააკაშვილის წინააღმდეგ მაქსიმალურად ეფექტურად ბრძოლის შესახებ გვაიძულებს, შევინარჩუნოთ კონსტრუქციულობა და არ ჩავერთოთ ოპოზიციურ ჯგუფებს შორის ისეთ პოლემიკაში, რაც საერთო მიზნის მიღწევისაგან დაგვაშორებს. ამიტომ მივმართავთ ბიძინა ივანიშვილს, ფაქტობრივ გარემოებებზე მისი შეფასაბები ნუ დაემსგავსება მკითხაობას, რაზეც ის ზოგიერთ ტელეკომპანიას თვითონ მიუთითებდა“, – ნათქვანია განცხადებაში.

ბიძინა ივანიშვილმა „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ სოზარ სუბარის მიერ პარტიის დატოვებაზე განცხადება უკვე გააკეთა.

**ინტერპრესნიუსი**

# პარლამენტთან ბინათმოსარგებლეთა საპროტესტო აქცია გაიმართა

საქართველოს პარლამენტის შენობასთან თბილისელი ბინათმოსარგებლეების (ე.წ.ატსტუპნიკების) საპროტესტო აქცია გაიმართა ლოზუნგით: „სააკაშვილო და დამქაშებო — ბაქრაძე, კუბლაშვილო, თორდია და მაჭავარიანო – ნუ გვაქცევთ დევნილებად საკუთარ ქალაქში“.

მისი ორგანიზატორები ბინათმოსარგებლეთა უფლებების დაცვის ასოციაცია და თავისუფალ ასოციაციათა კავშირი იყვნენ. როგორც „მედიანიუსს“ თავისუფალ ასოციაციათა კავშირის ხელმძღვანელმა ალექსანდრე შალამბერიძემ განუცხადა, აქციის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნა კანონმდებლობაში იმ მუხლის გაუქმებაა, რომლის თანახმადაც, თუკი ბინით მოსარგებლე – „ატსტუპნიკი“ მესაკუთრესთან შეთანხმებას ვერ მიაღწევს, მან 2012 წლის 1 იანვრიდან ბინა უნდა დატოვოს. შალამბერიძის განცხადებით, ეს მუხლი ახალ წელს ბინათმოსარგებლეების ქუჩაში გამოყრისა და მშობლიურ ქალაქში მათი დევნილებად ქცევის საფუძველია. შესაბამისად, ისინი კანონის ამ ნორმის გადავადებას ითხოვენ.

„მოვითხოვთ, პარლამენტმა კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანაზე იმსჯელოს, რომელიც თავად „ატსტუპნიკებმა“ მოამზადეს. ერთადერთი გამოხმაურება, რაც ჩვენს ამასწინანდელ აქციას მოჰყვა, ის იყო, რომ უმრავლესობის წევრ ლაშა თორდიას შევხვდით, სადაც აღინიშნა, რომ „ატსტუპნიკებს“ სახელმწიფო ბაჟისაგან გაათავისუფლებენ. მაგრამ პრობლემა ბაჟს კი არა, იმას ეხება, რომ ამ ადამიანებს საკუთრების დასაკანონებლად ფული არ აქვთ. ისინი, ძირითადად, სოციალურად დაუცველები არიან. ამიტომ ამ საკითხზე დეპუტატებმა მათთან ერთად უნდა იმსჯელონ და გადაწყვეტილებაც მათი კანონიერი ინტერესების გათვალისიწნებით მიიღონ“, — აღნიშნა ალექსანდრე შალამბერიძემ.

როგორც ბინითმოსარგებლეთა უფლებების დაცვის ასოციაციაში აცხადებენ, მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ დეპუტატობის დროს ჰქონდა მომზადებული პროექტი, რომლის თანახმადაც, იმ ბინათმოსარგებლეებს, რომლებიც შესაბამის ბინებში 15 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ და გადასახადებს კეთილსინდისიერად იხდიდნენ, ფართი საკუთრებაში ავტომატურად უნდა დაკანონებოდათ. „ატსტუპნიკებს“ კი 15 წელზე გაცილებით მეტხანს აქვთ ნაცხოვრები და მათ ამ ბინების ხელმეორედ ყიდვა აღარ უნდა მოეთხოვოთ.

„ჩვენ ამ ბინებში 80 და 100 წელიც კი გვაქვს ნაცხოვრები. ამ ხნის განმავლობაში ვიხდიდით გადასახადებს, ვფარავდით რემონტის ხარჯებს. ახლა კი მათი დაკანონებაც აღარ გვეკუთვნის?“, — აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას აქციის მონაწილე ნინო ბებიამ.

აქციის ორგანიზატორთა განცხადებით, „ატსტუპნიკების“ პრობლემა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებულ ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოში არსებობდა, მაგრამ მათმა მთავრობებმა ის ბინათმოსარგებლეთათვის უმტკივნეულოდ, წარმატებით გადაწყვიტეს. საქართველო კი ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოგვარება დღემდე ვერ მოახერხა.

**მედიანიუსი**

# მიხეილ სააკაშვილი: „საქართველო ეკონომიკურ განვითარებაზეა ორიენტირებული“



საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, „საქართველო ეკონომიკურ განვითარებაზეა ორიენტირებული“.

ამის შესახებ პრეზიდენტმა დღეს საპარლამენტო უმრავლესობასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

„მსოფლიოში არსებული ნეგატიური ეკონომიკური პროცესების მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ ევროზონა პრაქტიკულად იშლება და ბუნებრივია, ეს საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობებზე მძიმედ იმოქმედებს, ჩვენი ბიუჯეტი ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდაზეა ორიენტირებული. ჩვენ გვაქვს 2008-2009 წლების გამოცდილება, როდესაც მძიმე მსოფლიო კრიზისის დროს ჩვენი ქვეყანა განვითარებას აგრძელებდა“, – განაცხადა პრეზიდენტმა და აქვე დასძინა, რომ „ნეგატიური გლობალური ფონის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების კუთხით ოპტიმისტურადაა განწყობილი“.

**პირველი**

# მიხეილ სააკაშვილი: ჩემთვის მომავალი წელიწადი არის კახეთის წელიწადი

„ჩემთვის მომავალი წელიწადი არის კახეთის წელიწადი. ჩვენ გვაქვს დიდი ალმშენებლობის გეგმები თელავისთვის, ყვარლისთვის, თუშეთისთვის", – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში წარჩინებულ მოსწავლეებთან შეხვედრისას განაცხადა.

– გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი სასოფლო სამეურნეო გეგმები კახეთის უკლებლივ ყველა რეგიონისთვის და მთავარი საკითხი ეს არის ტურიზმი. როცა ვფიქრობ, რომ რამ უნდა წამოწიოს კახეთი წინ, ეს არის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ამიტომ, თქვენ იცით, რომ ყვარელში, აქ, დურუჯის და ახლა უკვე ილიას ტბა, როგორც ყვარლის საკრებულომ გადაწყვიტა, დავიწყეთ ამის განვითარება, ეს მხოლოდ პირველი ეტაპია, რომელზეც რამდენიმე ათეული მილიონი დაიხარჯება, აშენდება სასტუმროების კომპლექსები გარშემო, გრემი აღვადგინეთ და ნეკრესი. გრემის და ნეკრესის გარეშემო ხდება სასტუმრო კომპლექსების აშენება. ხელი შევუწყეთ კერძო ბიზნესს, რომ ლოპოტას და ყვარლის ტბა განვითარებულიყო. ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი არის ღვინის დარგში და მართლა შემიძლია ამოვისუნთქო და ვთქვა, რომ რუსეთის ემბარგომ, არამხოლოდ არ დაგვაკლო არაფერი, არამედ გაგვაძლიერა, იმიტომ რომ მაშინვე ვამბობდი, ყველაფერი, რაც არ კლავს, ყველაფერი აძლიერებს. დღეს ქართული ღვინის ხარისხი არის ის, რითიც ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ მთელს მსოფლიოში და მე მაინც მგონია, რომ მთავარი ჩვენი პრიორიტეტი და მთავარი ჩვენი მიღწევა იქნება განათლება ჩვენო ძვირფასებო, – განაცხადა პრეზიდენტმა.

**მედიანიუსი**

# მთავრობის გასვლითი სხდომა ყვარელში გაიმართება

კახეთში დღეს მთავრობის გასვლითი სხდომა გაიმართება.

მთავრობის კანცელარიის ინფორმაციით, მთავრობის წევრები ყვარელში შეიკრიბებიან. სხდომას, სავარაუდოდ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრება.

წინასწარი ინფორმაციით, მთავრობის წევრები რეგიონულ პროექტებს განიხილავენ. სხდომა 15:00 საათზეა დაგეგმილი.

**ინტერპრესნიუსი**

# გაეროს რეზოლუციების შესრულების საკითხზე მომუშავე სამთავრობო კომისია შეიქმნება

საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციების შესრულების საკითხზე მომუშავე სამთავრობო კომისია შეიქმნება. ამას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის კანონპროექტი ითვალისწინებს, რომლის ინიცირება პარლამენტის ბიუროს დღეს გამართილ სხდომაზე მოხდა. საკანონმდებლო

ინიციატივა დეპუტატებს: ანდრო ალავიძესა და კახაბერ ანჯაფარიძეს ეკუთვნით.

**მედიანიუსი**

# ვანო მერაბიშვილი ბრიუსელში შეხვედრებს მართავს

გუშინ, ბრიუსელში მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ივანე მერაბიშვილი შეხვდა საშინაო საქმეთა ევროკომისარს სესილია მალმსტრომს.

საქართველოს შს სამი-



ივანე მერაბიშვილი

ნისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე განიხილეს გატარებული რეფორმები, საქართველოს წარმატებული გამოცდილება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებში და ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის შეთანხმების იმპლემენტაციის მიზნით მიღებული ზომები.

შეხვედრაზე ასევე განხილული იქნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების სფეროში საქართველოს პერსპექტივები.

**მედიანიუსი**

# „ყველა მოაზროვნე ადამიანი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ქვეყნის სათავეში სისხლიანი რეჟიმია"



თემურ შაშიაშვილი

„თეთრების" ლიდერის თემურ შაშიაშვილის განცხადებით, „ყველა მოაზროვნე ადამიანი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ ქვეყნის სათავეში სისხლიანი რეჟიმია".

„თეთრების" ვებ-გვერდზე რამდენიმე თვეა, პრეზიდენტ სააკაშვილის იმპიჩმენტთან დაკავშირებით ინტერაქტიული გამოკითხვა მიმდინარეობს.

შაშიაშვილის ინფორმაციით, დღეისათვის გამოკითხვაში 6250-ზე მეტმა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან 82,5%, ანუ 5 156 სააკაშვილის იმპიჩმენტს მხარს უჭერს, 14,3%, ანუ 895 რესპონდენტი ამის წინააღმდეგია, ხოლო 4%-ს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

„ხაზგასასმელია ერთი გარემოება: მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ ასპარეზზე ბატონი ივანიშვილი გამოვიდა, იმპიჩმენტის მომხრეთა რაოდენობა სატელეფონო და ქუჩაში გამოკითხულთა შორის თითქმის 10%-ით გაიზარდა. სატელეფონო გამოკითხვის დროს იმპიჩმენტის მომხრეთა რაოდენობა – 90%-ს, ქუჩაში გამოკითხულთა კი 95%-ზე მეტს შეადგენს. აშკარაა, რომ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებს ადამიანებში შიშის დაძლევა მოჰყვა", – აცხადებს „თეთრების" ლიდერი.

მისივე თქმით, „თეთრების" დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, 23 ნოემბერს – ხელისუფლებისათვის „ღირსების ულტიმატუმის" წარდგენიდან ორი წლის თავზე პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით ინტერნეტ-გამოკითხვა დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოცხადდება.

**პირველი**

# ვახტანგ ხმალაძე: „ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა საარჩევნო კოდექსს ნაკლებ დამაბრკოლებელს ხდის"



ვახტანგ ხმალაძე

კონსტიტუციონალ ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, ოპოზიციური ექვსეულის ყოფილმა წევრებმა საარჩევნო კოდექსზე მუშაობა რომც გააგრძელონ, ხელისუფლებას ველარაფერს დაათმობინებენ. როგორც „მედიანიუსთან" საუბრისას ვახტანგ ხმალაძემ აღნიშნა, მას არ აქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობის პარალელურად გარკვეული პოლიტიკური ძალები გეგმავენ თუ არა საარჩვენო კოდექსის გაუმჯობესებაზე მუშაობას, მაგრამ ერთი რამ კი დანამდვილებით იცის, ხელისუფლება აღარაფერს დათმობს.

ხმალაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჯანსაღი საარჩვენო გარემო არჩევნების მოსაგებად ძალიან მნიშვნელოვანია, იზიარებს ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებას, რომ არჩვენების მოგება ამჟამად არსებული სარჩევენო კოდექსითაც შეიძლება.

„ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენა საარჩევნო კოდექსს ნაკლებად დამბრკოლებელს ხდის. თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა მაინც საჭიროა. რაც ყველაზე მთავარია, ამომრჩეველთან მუშაობაა საჭირო, რატა რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი უნდა მოვიდეს არჩევნებზე",–აღნიშნავს ვახტანგ ხმალაძე.

**მედიანიუსი**

# ვინ ვინ არის

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ახალ რუბრიკას – „ვინ ვინ არის". ამ რუბრიკაში ჩვენ მოგაწვდით ცნობებს ქართველ პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებზე და სხვა ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.**

ჩვენ არაერთხელ შემოგთავაზეთ ჩინოვნიკების ქონებრივი დეკლარაციები. მინისტრების დიდი უმეტესობა დეკლარაციის თანახმად აბსოლიტურად ღარიბ-ღატაკები არიან. ამ მხრივ გრიგოლ ვაშაძე თავისი დეკლარაციით ოლიგარქად გამოიყურება. იგივე შეიძლება ითქვას **ცეზარ ჩოჩელზეც**. რომელიც პოლიტიკაში ბიზნნესიდან მოვიდა. მას საკმაოდ დიდი ქონება აქვს. ,ის ქონებასთან დაკავშირებით მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა საინტერესო მასალები გამოაქვეყნა. რომლის თანახმადაც, ჩოჩელები ლუდის ბიზნესში ბრუნდებიან.

მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში ახალი ლუდსახარში საწარმო შენდება. ქარხანა, რომელიც ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ახალგორში არსებულ „ლომისის" ლუდის საწარმოს ჩაანაცვლებს, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის ძმას, იაგო ჩოჩელს ეკუთვნის. ლუდის ახალი ქარხნის მშენებლობაში 27 მლნ ევროს ინვესტიციის განხორციელება იგეგმება.

ლუდის ახალი ქარხანა სს „ქართული ლუდის კომპანიას" ეკუთვნის. იაგო ჩოჩელმა სამ პარტნიორთან ერთად კომპანია 2011 წლის 9 ივნისს დააფუძნა.

ლუდის ახალი საწარმო ალკოჰოლური სასმელების გარდა სუსტალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, მათ შორის ხილის წვენების წარმოებასაც გეგმავს. ქარხნის სიმძლავრე წელიწადში 400 000 ჰექტოლიტრი ლუდისა და 300 000 ჰექტოლიტრი ლიმონათის წარმოებაზეა გათვლილი. საწარმოს ხელმძღვანელობა პროდუქციის ექსპორტზე გატანასაც აპირებს. ქარხანა ჩეხურმა კომპანიამ „ძVU POთEძ"-მა დააპროექტა. მშენებლობას ქართული კომპანიები ახორციელებენ. ლუდის ახალი ქარხნის მშენებლობა 2012 წლის მარტში დასრულდება. სამეწარმეო რეესტრში არსებული ჩანაწერების თანახმად, საწარმოს დირექტორი მინდია გუმბარიძეა.

ლუდის წარმოება ჩოჩელებისთვის კარგად აპრობირებული საქმეა. აგვისტოს ომამდე ახალგორში ლუდის ქარხანა ფუნქციონირებდა, სადაც ქართული ლუდი „ლომისი" ისხმებოდა. „ლომისის" საწარმო მცხეთა – მთიანეთის ამჟამინდელი გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის მიერ იყო დაარსებული. „ლომისის" ლუდის ქარხანა მუშაობას მას შემდეგაც აგრძელებდა, რაც ახალგორი რუსული მხარის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა. ოსური მედიის ინფორმაციით, „ლომისის" ყოფილ ქარხანაში სამი სახეობის ლუდი – „ალუტონ", „ჟიგულევსკოე" და „კარლოვ მოსტ" ჩამოასხეს. თუმცა, ამჟამად ეს საწარმო დალუქულია.

ლუდის ქარხანა „ნატახტარი" კი იაგო ჩოჩელს ეკუთვნოდა. „ნატახტარი" მან რამდენიმე წლის წინEგაყიდა. დადებული კონტრაქტის საფუძველზე, ჩოჩელს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლუდის ბიზნესში შესვლის უფლება არ ჰქონდა. Eფეს Bეერ Iნტერნატიონალ-თან დადებული კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, იაგო ჩოჩელმა 3 პარტნიორთან ერთად სს „ქართული ლუდის კომპანია" დააფუძნა.

გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის თითქმის მთელი ქონების განმკარგავი მისი ძმა იაგო ჩოჩელია. ცეზარ ჩოჩელს 2011 წელს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ მისი მოძრავი და უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლება მინდობილობით საკუთარ ძმას მისცა. ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, იაგო ჩოჩელს გადაეცა განსაკარგავად 6 მილიონ 400 ათასი დოლარის ოდენობის თანხაც.

ცეზარ ჩოჩელი მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობაზე 2008 წლის თებერვლიდან მუშაობს. ჩოჩე-



ლი ხელისუფლებაში ბიზნესიდან მოვიდა. მცხეთა – მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ გუბერნატორის ბიოგრაფიაში მითითებულია, რომ ცეზარ ჩოჩელმა ფირმა „ლომისი" 1991 წელს ჩამოაყალიბა. მისი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ მას დიდი ქონება აქვს დაგროვილი. საქართველოს ხელისუფლებაში ის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანია.

ცეზარ ჩოჩელს ქონებრივი დეკლარაცია ბოლოს 2011 წლის 20 მაისს აქვს შევსებული. ამ დეკლარაციის მიხედვით მას ორი საცხოვრებელი სახლი აქვს: 1 600 კვ. მ ფართის სახლი სოფელ დიღომში და 100 კვ.მ ფართის სახლი ახალგორში. ცეზარ ჩოჩელსვე ეკუთვნის 180 კვ.მ ფართის ბინა თბილისში, ტაშკენტის 23 ნომერში.

ცეზარ ჩოჩელის მეუღლის, სვეტლანა ჩოჩელის სახელზე მიწის 6 ნაკვეთია რეგისტრირებული. ექვსივე ნაკვეთი სოფელ დიღომში მდებარეობს. მათი საერთო ფართი 7 939კვ.მ-ია.

გუბერნატორის მეუღლეს ეკუთვნის 1 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი დაბა ახალგორში და 31 270 დოლარის ღირებულების სააქციო საზოგადოება „კედარის" ფასიანი ქაღალდებიც.

დეკლარაციის თანახმად, ცეზარ ჩოჩელს ორი ძვირადღირებული ავტომობილი აქვს. ცეზარ ჩოჩელს „თიბისი ბანკში" საკრედიტო ბარათზე 4 160 დოლარი აქვს, ხოლო საკრედიტო ანაბარზე 2 254 ლარი. ამავე ბანკში გახსნილ სახელფასო ბარათზე კი 2 360 ლარი ერიცხება.

გუბერნატორის მეუღლეს „პროკრედიტ ბანკში" ორი ანაბარი აქვს: 7 397.51 დოლარის და 4 855 ევროს ოდენობით.

დეკლარაციის თანახმად, ცეზარ ჩოჩელს ნაღდი ფულის სახით 205 000 ლარი აქვს, მის მეუღლეს კი 8 000 ლარი.

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი შპს „ინტერპლასტის" ერთ-ერთი პარტნიორია. თუმცა, ჩოჩელი დეკლარაციაში უთითებს, რომ ამ საწარმოდან მას შემოსავალი მიღებული არ აქვს.

ცეზარ ჩოჩელს სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობაზე მუშაობისთვის 2010 წელს ხელფასის სახით 35 ათას 555 ლარი აქვს აღებული.

გუბერნატორი დეკლარაციაში განმარტავს, რომ შპს „ინტერპლასტს" 2008 წლის 30 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე 19 197 ლარი ასესხა. გასესხებული თანხიდან სარგებლის სახით ჩოჩელს 4 132 ლარი აქვს მიღებული.

ჩოჩელს დეკლარაციაში შეტანილი აქვს ნასყიდობის ხელშეკრულებაც. ამ ხელშეკრულების თანახმად, გუბერნატორმა კორპორაცია „რემაქს ენდ კოს" შპს „ინტერპლასტის" წილი მიჰყიდა. ამ გარიგებიდან, ჩოჩელს 1 წლის განმავლობაში 7 მილიონ 13 ათას 907 ლარი უნდა მიეღო (ხელშეკრულება 2009 წლის 29 იანვარს არის დადებული და მისი ვადა 2012 წლის 29 იანვარს იწურება). დეკლარაციაში მითითებულია, რომ ამ გარიგებიდან ჩოჩელს შემოსავალი მიღებული არ აქვს.

ცეზარ ჩოჩელს ქონების მართვის უფლება მინდობილობით საკუთარ ძმაზე, იაგო ჩოჩელზე აქვს გადაფორმებული. დეკლარაციაში მითითებულია, რომ იაგო ჩოჩელმა შპს „მიქსორსა" და შპს „ლარმაქსში" კუთვნილი წილი ცეზარ ჩოჩელს დაუთმო შპს „ინტერპლასტის" 9,9992% წილის სანაცვლოდ.

ცეზარ ჩოჩელს 2010 წლის 15 ოქტომბერს" თიბისი ბანკიდან" 400 000 დოლარის ოდენობის სესხი აქვს გამოტანილი. გასულ წელს მას პროცენტის სახით 10 696 ლარი აქვს გადახდილი.

ჩოჩელს კიდევ ერთი საკრედიტო ბარათი აქვს „თიბისი ბანკში". ბარათზე მას 10 000 დოლარი აქვს. ამ საკრედიტო ბარათის გამოყენების გამო გუბერნატორს პროცენტის სახით 191.17 დოლარი აქვს გადახდილი.

2010 წელს შვილებს, შალვა და რამზეს ჩოჩელებს ცეზარ ჩოჩელმა სწავლის გადასახადის სახით 4 ათას-4 ათასი ევრო გადაუხადა. 4 ათასი ევროს ოდენობით სწავლის გადასახადი გასულ წელს საკუთარი თავისთვის გუბერნატორსაც გადაუხდია.

2010 წელ ანაბარზე დარიცხული პროცენტის სახით ცეზარ ჩოჩელს 3 272 ევრო და 545 ათასი ლარი აქვს მიღებული, ხოლო მის მეუღლეს 1398 დოლარი და 1355 ევრო.

2011 წლის დეკლარაციის მიხედვით ცეზარ ჩოჩელს ხელფასის სახით 35 ათას 555 ლარი აქვს მიღებული.

სახელმწიფო რწმუნებულის 2011 წლის ქონებრივ დეკლარაციაში აღარ ჩანს 2010 წლის დეკლარაციაში მითითებული „თიბისი ბანკში" გახსნილი უვადო ანაბარი, რომელზეც ჩოჩელს 1 მილიონი დოლარი ჰქონდა შეტანილი და საიდანაც მან 2009 წელს სარგებლის სახით 7 237 დოლარი მიიღო.

წლევანდელ დეკლარაციაში აღარც „თიბისი ბანკში" გახსნილი ის ანაბარი ჩანს, რომელზეც გუბერნატორს 398 ათასი ევრო ჰქონდა შენახული.

2011 წლის დეკლარაციაში „გამორჩენილია" მიწის ის ნაკვეთიც, რომელიც გუბერნატორმა 2010 წელს 100 ათას ლარად შეიძინა. წლევანდელ დეკლარაციაში არც ის საცხოვრებელი სახლია შეტანილი, რომელიც ჩოჩელმა 2010 წელს მილიონ ნახევარ ლარად ააშენა და რომლისთვისაც 232 ათასი ლარის ავეჯი შეიძინა.

# ნინო კალანდაძე: „სომხეთთან პრობლემები არ გვაქვს!“

ნათია ხურცილავა

**საქართველოს 9 ნოემბერს ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი ეწვევა. პირველი ნატო–საქართველოს კომისიის სხდომა საქართველოში 2008 წლის სექტემბერში ჩატარდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩრდილო ატლანტიკური საბჭოსა და ნატოს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის საქართველოში ვიზიტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე ამ ვიზიტს მნიშვნელოვანს უწოდებს.**


ნინო კალანდაძე

ვიზიტის ფარგლებში უმაღლესი დონის შეხვედრები გაიმართება. ნატოს გენერალური მდივანი შეხვედრას გამართავს საქართველოს პრეზიდენტთან. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, შეხვედრაზე განხილული იქნება ყველა ის საკითხი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებლად.

ნინო კალანდაძე აცხადებს, ეს სხდომა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ნატოს წევრი ქვეყნები ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილების ერთგული რჩებიან.

– ვიზიტის ფარგლებში ასევე 9 ნოემბერს დაგეგმილი არის მთელი რიგი, მათ შორის უმაღლესი დონის შეხვედრები. ასევე დღის წესრიგით გათვალისწინებული არის მასთან ყველა იმ საკითხის განხილვა, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია ალიანსთან ურთიერთობაში. მნიშვნელოვანი არის ეს ვიზიტი ერთის მხრივ იმით, რომ გასული სამი წლის განმავლობაში ეს უკვე მეორე სხდომაა, რომელიც საქართველოში ტარდება. პირველად მსგავსი სხდომა 2008 წლის სექტემბერში ჩატარდა ნატი-საქართველოს კომისიის სხდომა ამავე შემადგენლობით, რაც იმთავითვე ხაზს უსვამს, ერთი მხრივ საქართველოს მნიშვნელობას ალიანსისთვის, ამავდროულად იმას, რომ ნატის წევრი-ქვეყნები ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილების ერთგული რჩებიან, რომელიც გულისხმობს საქართველოს გაწევრიანების პრესპექტივას ალიანსში. ჩვენ ვაგრძელებთ ინტენსიურ თანამშრომლობას ალიანსთან. ყველა ის საკითხი, რომელიც ჩვენ დღის წესრიგით გვაქვს გათვალისწინებული, მათ შორის ნატოს წევრი ქვეყნებისთვის, არის აქტუალური და მნიშვნელოვანი. – განაცხადა კალანდაძემ.

მეორე საკითხი, რაზეც საგარეო საქმეთა სამინისტროში ყურადღება გამახვილდა, ეს არის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება.

10 ნოემბერს რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები ამის შესახებ ხელს მოაწერენ დოკუმენტს.

შეთანხმების ტექსტი უკვე პარაფირებულია და მხარეები ხელს ჟენევაში მოაწერენ.

თუ როგორი ფორმულირებით იქნება აღნიშნულ დოკუმენტში საზღვარი, სადაც უცხოელი მონიტორები უნდა განთავსდნენ. – „საქართველო-რუსეთის“ თუ „რუსეთ-აფხაზეთის“ და „რუსეთ-სამხრეთ ოსეთის“, ნინო კალანდაძემ განმარტა, რომ მსგავსი ფორმულირება დოკუმენტში არ ჩაიდება, მაგრამ მოხდება სამივე სავაჭრო დერეფნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობების განსაზღვრა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მტკიცებით, რუსეთმა აღიარა ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილებასაც საქართველო მოლაპარაკებების პროცესში ითხოვდა.

კალანდაძის განცხადებით, ყველაზე უმთავრესი საკითხი იყო სწორედ სავაჭრო დერეფნის განსაზღვრა და ის, თუ როგორი ზედამხედველობის ქვეშ მოექცეოდა რუსეთ-საქართველოს საზღვრებზე ტვირთბრუნვა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ ამ დოკუმენტში ყველა მოთხოვნა არის დაფიქსირებული.

კალანდაძე ამ დოკუმენტის მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი თქმით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოხდება ტვირთების კონტროლი.

ის ამბობს, რომ ქართული მხარისთვის პრინციპული ყველა საკითხი გათვალისწინებულია.

– მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ საბოლოო ჯამში რუსეთის გაწევრიანება მოხდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. რუსეთის მხრიდან მოხდა იმ პირობების აღიარება, რომელიც საქართველოს მოლაპარაკების პროცესში ჰქონდა წამოყენებული. ყველაზე უმთავრესი საკითხი იყი სწორედ სავაჭრო დერეფნების განსაზღვრა. ასევე, როგორი ზედამხედველობის ქვეშ მოექცეოდა რუსეთ-საქართველოს საზღვრებზე ტვირთბრუნვა. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო ტვირთების ბრუნვას ბოლო მოეღება. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმება შედგა და ფორმალურ დასასრულსაც უახლოვდება. ამავდროულად ქართული მხარისთვის ყველაზე მეტად ხაზგასასმელი არის ის, რომ სრულიად უკონტროლო ტვირთბრუნვა ერთხელ და სამუდამოდ იურიდიულ ჩარჩოებში მოექცევა.– განაცხადა საგარეო საქმეთ მინისტრის მოადგილემ.

კალანდაძის თქმით, შვეიცარიული მხარის მიერ შერჩეული კომპანიები შეძლებენ მონიტორინგის განხორციელებას. ამასთან, იარსებებს საერთაშორისო დავების განხილვის მექანიზმი, რაც ქართული მხარისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეთანხმების მიხედვით, შეიქმნება სამი სავაჭრო დერეფანი ფსოუ-ზუგდიდის, როკი-გორისა და ლარსის, რომლებზეც ტვირთბრუნვას შვეიცარიელი მხარის მიერ შერჩეული კერძო აუდიტორული კომპანიები გააკონტროლებენ.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც ჟურნალისტებს მოგვაწოდა ნინო კალანდაძემ, კიდევ ერთი მაღალი დონის ვიზიტს ეხება.

10 ნოემბერს საქართველოს ამერიკის თავდაცვის მდივნის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში ალექსანდრე ვერშბოუ ეწვევა, რომელიც 12 ნოემბრამდე დარჩება საქართველოში.

ალექსანდრე ვერშბოუ რამდენიმე მაღალი დონის შეხვედრას გამართავს და ცნობილია, რომ ის რეგიონში უსაფრთხოების საკითხებზე ისაუბრებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კომენტარი გააკეთა სომხურ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე.

ნინო კალანდაძე უარყოფს სომხურ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სომხეთში დაძაბულობის განმუხტისთვის ჩადის.

კალანდაძის განცხადებით, გრიგოლ ვაშაძემ სამუშაო ვიზიტი სომხეთში გუშინ დაიწყო, რომელიც შეთანხმებული იყო და გეგმიურად ხორციელდება.

რაც შეეხება სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტის გადადებას, რომელიც საქართველოში ნოემბრის დასაწყისში უნდა განხორციელებულიყო, კალანდაძემ განმარტა, რომ მხარეებს შორის ვიზიტის თარიღი შეთანხმებული არ იყო და ვიზიტი შედგება მაშინ, როდესაც ორივე მხარე შეთანხმდება.

– არ ვფლობ დამატებით ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სომხეთის პრეზიდენტი შესაძლოა, განაწყენებული იყოს ქართველ კოლეგაზე, პირიქით, მათ არა მხოლოდ მეზობლური და კოლეგიალური, არამედ ძალიან კარგი პიროვნული ურთიერთობები აკავშირებთ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტი განხორციელდება. აქ რაიმე დამატებითი ქვეტექსტების ძიება ალბათ, არ არის სწორი. – განაცხადა კალანდაძემ.

სომხური მედიის მტკიცებით, გრიგოლ ვაშაძე ერევანში ბოდიშის მოსახდელად ჩადის. მანამდე სომეხი ჟურნალისტები წერდნენ, რომ სერჟ სარგსიანი განაწყენდა სომხეთში ჩამოწოლილ მეწყერთან და სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის განცხადებების გამო და სწორედ ამისტომ გადაიდო სარგსიანის ვიზიტი, რომელიც პირველ ნოემბერს იგეგმებოდა.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელსაც საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, საქართველოს იმ მოქალაქეებს შეეხებათ, რომლებიც უკრაინის ტერიტორიაზე ლეგალურად იმყოფებიან. მათ უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონი არ შეეხებათ.

ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ რაც შეეხებათ არალეგალებს, მათ მიმართ დამოკიდებულება უცვლელი რჩება ყველა ქვეყანაში, მათ შორის უკრაინაში.

– საუბარია იმაზე, რომ ვისაც უკრაინაში მუშაობის უფლების მოპოვების სურვილი აქვს და შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს, მათთვის გარკვეული პირობები გამარტივდება, – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

უკრაინამ უცხოელების არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონი მიიღო.

ახალი კანონის თანახმად, უკრაინაში დროებით ცხოვრების უფლება იმ უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ, რომლებიც ქვეყანაში კულტურული, სამეცნიერო ან საგანმანათლებლო საქმიანობისთვის, ასევე საერთაშორისო და რეგიონალურ პროგრამებში მონაწილეობისთვის, კორესპონდენტად სამუშაოდ ან უცხოური მედია საშუალების წარმომადგენლად, უკრაინის მოქალაქესთან ან დროებითი ცხოვრების მქონე პირთან ოჯახის შექმნისთვის ჩადიან.

# ნუ შეჭამთ საარჩევნო სიების შესამოწმებელ თანხებს

თამარ ნინიძე

**მას შემდეგ, რაც ვენეციის კომისიის სარედაქციო ჯგუფმა ქართველ ოპოზიციონერებს ცივი წყალი გადაასხა და ურჩია ვიდეოთვალზე და ბიომეტრიულ პასპორტებზე ამ ეტაპზე მაინც არ ეფიქრათ, საპარლამენტო ოპოზიციას სხვა სქემით შეუძლია იზრუნოს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნებისთვის.**



კარუსელების აღსაკვეთად ოპოზიცია ისევ აპირებს მხარი დაუჭიროს მარკირებას. სააკაშვილის ხელისუფლება მზად არის ნებისმიერ მისთვისაც კომპრომისულ ვარიანტს დათანხმდეს, ოღონდ არასაპარლამენტო ოპოზიციის მონაწილეობა საარჩევნო კოდექსზე სამუშაოდ მინიმუმამდე დაიყვანოს, სადაც მისი გათვლებით, საპარლამენტო ოპოზიცია, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი, ხელისუფლებას მძაფრ წინააღმდეგობას არ გაუწევს, იქ შეუძლია თავისი პოზიცია ადვილად გაიტანოს, არასაპარლამენტო ოპოზიციასთან კი ასეთი თამაში თითქმის შეუძლებელი იქნება. Aამ ეტაპზე ხელისუფლება თავმომწონედ აცხადებს, რომ „რვიანი“ და „ექვსიანი“ ბლეფი იყო და რეალურ საქმიანობაზე ეს გაერთიანება გათვლილი არ იყო, ხელისუფლება ცდილობდა „რვიანის“ ნებისმიერი გონივრული ინიციატივა ჩაეგდო, შედეგად მოახერხა მასში კრიზისის ნიშნების წარმოქმნა და საბოლოოდ ამ გაერთიანების დაშლა.

მაინცდამაინც ერთიანობის სულისკვეთებით არც საპარლამენტო ოპოზიცია გამოირჩევა, მისით მანიპულირება ხელისუფლებას უფრო უადვილდება, თუ რატომ, ეს თავად ამომრჩეველმა განსაჯოს. ხელისუფლება დათანხმდა საარჩევნო სიების გადასამოწმებლად კომისიის თავმჯდომარედაც ოპოზიციური კანდიდატი დაინიშნოს, მაგრამ გაწეული სამუშაოსთვის პასუხისმგებლობა მასაც და კომისიის წევრებსაც აუცილებლად უნდა მოეთხოვოს. საარჩევნო სიები რომ დასაზუსტებელია და მკვდარი სულების პრაქტიკა უნდა ამოიშალოს ქართველი ამომრჩევლის ცნობიერებიდან, ამას დიდი სჯა–ბაასი არ სჭირდება, სხვა საქმეა, შესწევს თუ არა საპარლამენტო ოპოზიციას უნარი საქმე ბოლომდე მიიყვანოს და შედეგი მაგიდაზე ღირსეულად დადოს.

ადგილობრივი არჩევნების წინაც იყო საარჩევნო სიების გადამოწმების მცდელობა, რამდენიმე პარტია კიდეც ჩაერთო ამ საქმეში, მაგრამ საზოგადოებისთვის მაინც გაურკვეველი დარჩა, რა შედეგამდე მივიდნენ პარტიები. საზოგადოების ნაწილი ეჭვობს, რომ მაშინ სიების გადასამოწმებლად გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილი პარტიებმა უბრალოდ ჯიბეში ჩაიდეს. Aროგორც ჩანს, ახლა თანხების განკარგვაზე მონიტორინგი უფრო გამკაცრდება. თუ კომისიამ სწორად იმუშავა, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები სწორად დახარჯა და კარდაკარ შემოწმების პრინციპით ამომრჩევლის იდენტურობა გაირკვა, რასაკვირველია, ეს კიდევ ერთი სერიოზული წარმატება იქნება დემოკრატიული არჩევნების ჩატარების თვალსაზრისით. ვნახოთ, საპარლამენტო ოპოზიცია ამ მიმართულებით ძალიან აქტიურობს, იქნებ ამ კომისიის მუშაობა მართლაც ეფექტური აღმოჩნდეს.

## 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი უკვე პარლამენტშია


ზურაბ მელიქიშვილი

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი უკვე პარლამენტშია და კომიტეტები მის განხილვას მიმდინარე კვირიდან შეუდგებიან.

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი აცხადებს, „ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ჯეროვნად არის ასახული“.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის განცხადებით კი, „მთავრობამ პარლამენტის კომიტეტებიდან და ფრაქციებიდან წამოსული ყველა დასაბუთებული წინადადება შეისწავლა და გაითვალისწინა“.

მთავრობის მიერ გადამუშავებულ 2012 წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტი 15 ნოემბრამდე განიხილავს. პარლამენტი მას ნოემბრის ბოლომდე დაამტკიცებს.

პირველი

## საჯარო სამართლის ახალი იურიდიული პირი — „112“ იქმნება

შინაგან საქმეთა სამინისტრო ახალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „112“-ს აფუძნებს. სწორედ ამას ითვალისწინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის შექმნის შესახებ კანონპროექტი, რომლის ინიცირება პარლამენტის ბიუროს დღეს გამართულ სხდომაზე მოხდა.

საკანონმდებლო ინიციატივა მთავრობას ეკუთვნის. როგორც ჟურნალისტებს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გიორგი ხუროშვილმა განუცხადა, საგანგებო სიტუაციებისთვის ერთიანი კოორდინირებული სისტემა შეიქმნება, რომელშიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამაშველო, სახანძრო და საგანგებო სიტუაციათა სამსახური გაერთიანდება. მას „112“ დაერქმევა და კონტროლს შინაგან საქმეთა უწყება გაუწევს.

მედიანიუსი

## საფონდო ბირჟაზე „ლიბერთი ბანკის“ აქციებზე მოთხოვნა შემცირდა

თბილისის საფონდო ბირჟაზე „ლიბერთი ბანკის“ აქციებზე მოთხოვნა შემცირდა, ფასი – გაიზარდა.

დღევანდელ საბირჟო ვაჭრობაზე ბანკი 11 174 ფასიანი ქაღალდი გაიყიდა, რაც წინა ვაჭრობაზე გაყიდულთან შედარებით 52 672 აქციით ნაკლებია.

„ლიბერთი ბანკის“ აქციებზე დღეს 3 გარიგება დიადო, გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ 290 ლარი შეადგინა.

ბანკის აქციების ფასი დღეს 0.0260 ლარით განისაზღვრა, ნაცვლად წინა ვაჭრობაზე დაფიქსირებული 0.0245 ლარისა.

ინტერპრესნიუსი

# სააკაშვილი ყველანაირად ეცდება, არჩევნები დააჩქაროს

შორენა გონგლაძე

ინტერვიუ კონსერვატიულ-მონარქისტული პარტიის გენერალურ მდივან ირაკლი კობრავასთან

—ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს?

—მონარქისტები ცოტა სკეპტიკოსები ვართ. ჩვენი პროგნოზები ხშირად მართლდება ხოლმე. ჩვენ ყოველთვის ვიყავით იმის მომხრე, რომ ქვეყნის მომავალი ბაგრატიონებს გადაეწყვიტათ, რასაც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ შევარდნაძე და სხვა პოლიტიკური ძალები. Mმაგრამ დღეს, ბატონი ბიძინას შემოსვლა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, ეს იყო მეხის გავარდნა მოწმენდილ ცაზე. ჩვენ ბატონ ბიძინას ვიცნობთ როგორც მეცენატს, როგორც ქართველ კაცს, რომელსაც ამ ქვეყნისთვის ძალიან ბევრი კარგი აქვს გაკეთებული, მაგრამ არ ვიცით, როგორი იქნება პოლიტიკაში. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს მასთან შეხვედრის, რომ გავიგოთ მისი სამომავლო გეგმები, მაგრამ რასაც ჩვენ ამ ეტაპზე ვხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ადამიანი შემართულია იმისათვის, რომ გააკეთოს ნამდვილი ქართული საქმე. თავისი გაკეთებული განცხადებით ბატონი ბიძინა შევიდა ისტორიაში, მაგრამ მას შეუძლია როგორც დაღუპოს, ასევე გადარჩინოს საქართველო. თუ მან უკან დაიხია, საქართველო თხუთმეტი წლით კიდევ დაიხევს უკან და სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად საბოლოოდ დაღუპავს ქვეყანას.

*— უკან რატომ უნდა დაიხიოს, ამის ნიშნებს ხედავთ?*

—ამის ნიშნებს ვერ ვხედავთ და ძალიან იმედიანადაც ვართ, რომ ეს ადამიანი გააკეთებს იმას, რასაც მოჰყვება საქართველოს ჩიხიდან გამოყვანა. Aაქ მარტო ბატონი ბიძინა ვერაფერს გახდება, აქ საჭიროა მთელი ქართველი ხალხის ერთად დგომა. სააკაშვილი ყველანაირად ეცდება, რომ არჩევნები დააჩქაროს, რათა ივანიშვილმა ვერ მოასწროს გუნდის ჩამოყალიბება. Aამიტომ ჩვენ მზად ვართ, რომ ვითანამშრომლოთ ყველა ჯანსაღ პოლიტიკურ ძალასთან, რათა ყველამ ერთად გამოვიყვანოთ ქვეყანა შექმნილი მდგომარეობიდან. ქვეყანაში არის ასეთი სიტუაცია, ოპოზიცია ჩასვრილია, ხელისუფლება უარეს დღეშია, და სწორედ ამ მომენტში გამოჩნდა ბატონი ბიძინა, რომელმაც დიდი იმედი მისცა ხალხს.

*— ივანიშვილმა უკვე დაასახელა ის პარტიები, რომელთანაც აპირებს თანამშრომლობას, როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი არჩევანია?*



—ბატონმა ბიძინამ დააფიქსირა თავისი პოზიცია, თუ რომელ პარტიებთან არ ითანამშრომლებს, ანუ ის არ ითანამშრომლებს იმ პარტიებთან, რომელიც შექმნა სააკაშვილმა. სხვათა შორის, ეს იყო ზურა ჟვანიას ტაქტიკა, იყიდე ყველაფერი, რომ მერე გაყიდო. მედიაც ნაყიდი ჰქონდა და ოპოზიციაც, იგივე გააკეთა მიშამაც, იმდენად გამჭვირვალეა ეს ყველაფერი, რომ ამის დანახვას არ სჭირდება პოლიტიკის ცოდნა. მე ვფიქრობ, რომ ბატონი ბიძინა ითანამშრომლებს ყველა რეალურ ოპოზიციასთან. დღეს იმდენი ცრუ მეხოტბე გამოუჩნდება ბატონ ბიძინას, რომ ძალიან ბევრი და ამიტომ ყველაფერს სარი თვალით უნდა შეხედოს და თავბრუ არ უნდა დაეხვეს. ჩვენ მაგალითად არ დავდექით არც გრეჩიხას გვერდით, არც ბურჯანაძის გვერდით, რადგანაც ვიცოდით, რომ ეს იყო ფარსი, რათა სააკაშვილს პრეზიდენტობა შეენარჩუნებინა. ივანიშვილმა საკმაოდ კარგი განცხადება გააკეთა, რომ ის ქუჩაში არ გამოვა, ის ხალხს თავისთან ელოდება, რომ ერთად დადგნენ და ერთად გაიმარჯვონ. ეს არის ძალიან კარგი მესიჯი და ჩვენ მივესალმებით იმას, რომ ხალხის დაბოლების პოლიტიკა ისპობა. აშკარაა, რომ სააკაშვილი თავს ველარ აკონტროლებს, რა განცხადებებს აკეთებს, უკვე თვითონაც ველარ ხვდება. Mმაგრამ აქ არის ერთი რამ, თუ ბატონი ბიძინა აპირებს მარტო სააკაშვილის მოშორებას და არა გუნდის, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა. სააკაშვილი არის სახე, რომელიც სჭირდება დღევანდელ გუნდს. მე არ ვამბობ, რომ ყველა ციხეში უნდა წავიდეს, მაგრამ ის თავი, რომელიც ამ ქვეყნის საქმეს აფუჭებს, უნდა მოშორდეს. სხვათა შორის, ბატონ ბიძინას შეუძლია დაამკვიდროს ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიაც, რაც ნამდვილ;ად მისასალმებელი იქნება.

## ირანს ბირთვული იარაღის შექმნაში კონსულტაციას რუსი ფიზიკოსი უწევდა

საბჭოთა ფიზიკოსმა ვიაჩესლავ დანილენკომ გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას მიუახლოვდა.

ამის შეახებ ერთ-ერთ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომელიც საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს კონფედენციალურ მასალებს იცნობს.

გამოცემა წერს, რომ ირანი ჯერეჯერობით ატომურ იარაღს არ ფლობს, თუმცა მას აქვს ყველა საშუალება მის შესაქმნელად. თეირანს აქვს ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა შეიქმნას ე.წ. გენერატორი ღ265 — მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია გაუშვას ბირთვული რეაქცია.

გამოცემის წყაროს ცნობით, რომელიც საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს კონფედენციალურ მასალებს ეყრდნობა, დამოუკიდებლად ირანს არ შეეძლო მიელო ინფორმაცია, თუ როგორ უნდა შეექმნა გენერატორი ღ265.

,,თეირანს დაეხმარა ყოფილი საბჭოთა მეცნიერი ვიაჩესლავ დანილენკო. ირანის ხელისუფლებამ ის ბირთვულ პროგრამაზე სამუშაოდ დაიქირავა 1990-იან წლებში. ხუთი წლის განმავლობაში დანილენკო ირნელებს კონსულტაციას უწევდა, თუ როგორ უნდა შეექმნათ ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც ბირთვულ მუხტს ატარებდნენ'' — წერს გამოცემა.

ინფორმაციით, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ დანილენკო ირანში საქმიანობას მოსკოვთან შეთანხმებით ეწეოდა.

გამოცემა ასევე წერს, რომ მათი მცდელობის მიუხედავად რუსმა ჩინოვნიკებმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არანაირი კომენტარი არ გააკეთეს.

მედიანიუსი

# ვაჟას იუბილე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემაც იზეიმა

ეკა ირემაშვილი

2011 წელი მთის არწივის ვაჟა-ფშაველას საიუბილეო წელია. ამ თარიღს იუნესკოც აღნიშნავს. საქართველოში კი ვაჟა-ფშაველას იუბილე მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება.

ვაჟას იუბილე მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემაც აღნიშნა. ინესა აბესაძის აღსაზრდელები მთაწმინდაზე, პოეტის საფლავთან შეიკრიბნენ და ეროვნულ სამოსში გამოწყობილებმა ამჯერად ვაჟას პროზა გააცოცხლეს.

ღონისძიებას ვაჟა-ფშაველას შთამომავალი, ბაჩანა რაზიკაშვილის შვილიშვილი ლელა რაზიკაშვილიც ესწრებოდა. საიუბილეო ღონისძიებაში ჩაერთნენ სასახლის ანსამბლი ,,მირანგულა'' (ხელმძღვანელი ქეთევან შინდაგორიძე), პოეტი ეთერ აფაქიძე, მსახიობი გუჯი ბურდული, ხალხურ საკრავთა ორკესტრი, პოეტი გიული ჩქარეული.

როგორც ინესა აბესაძემ გვითხრა, ვაჟა ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებულია. ვინაიდან ძირითადად მისი ლექსებია უფრო აქტუალური, მან მიილო გადაწყვეტილება, თავისი აღსაზრდელებისთვის ვაჟას პროზა გაეცნო.

— ჩვენ მსგავს ღონისძიებებს საკმაოდ ხშირად ვაწყობთ. ვინაიდან წელს ვაჟას წელია, გვინდოდა ამ ბუმბერაზი ადამიანის პროზა გაგვეცოცხლებინა. ბავშვები ეროვნულ სამოსში შევმოსეთ, რამაც მათში პატრიოტული სული კიდევ უფრო გამოაცოცხლა. ასეთი ღონისძიებებით გვინდა ქართული სული გავაფართხალოთ და ყველას ვუთხრათ, რომ ჩვენი სულისკვეთება არ უნდა გაქრეს, — აღნიშნა ინესა აბესაძემ.

ღონისძიების დასასრულს მასში მონაწილე ყველა ხელოვანი სიტყვით გამოვიდა და ვაჟას გენიალურობაზე კიდევ ერთხულ ისაუბრა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო ღონისძიებები საქართველოში 22 დეკემბერს დასკვნით ფაზაში შევა და დიდ საკონცერტო დარბაზში გრანდიოზული ღონისძიებით დაიხურება, თუმცა ლელა რაზიკაშვილის თქმით, ვაჟა იმდენად დიდია, რომ მისი კონკრეტულ თარიღებში ჩატევა შეუძლებელია.

— ამ ღონისძიებით განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ. ვაჟასთან მიახლოების ყოველი წუთი განსაკუთრებულია. ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც მიეცა შესაძლებლობა ვაჟას შემოქმედებას გაცნობოდა. ყველა ადამიანი აღიარებს, რომ ვაჟასთან შეხების შემდეგ სულ სხვა ადამიანი ხდები და ბევრად უკეთესი ხარ. ვაჟას კვირეული ძალიან მომწონს. ბევრ საჯარო სკოლაში ტარდება მისდამი მიძღვნილი ღონისძიებები. ბევრ სკოლაში ვყოფილვარ და ასეთი აჟიტირება და



აღფთრთოვანება არსად მინახავს. ამ ბავშვებში ხედავ, რამდენად კარგად გესახება მომავალი. თბილისის თითქმის ყველა სკოლაში ჩატარდა ვაჟას იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, მაგრამ სასახლის ღონისძიება იყო განსაკუთრებული. ჩვენ ამოვედით პანთეონში, საფლავზე ვიყავით, მივეახლეთ ვაჟას, ყვავილებით შევამკეთ მისი განსასვენებელი და ეს იყო ძალიან ამაღელვებელი დღე — აღნიშნა ლელა რაზიკაშვილმა.

— ვაჟას იუბილე დეკემბრის ბოლოს სრულდება?

— ეს წელიწადი მთლიანად ვაჟასია, მაგრამ ისეთი აქტიურია ქართველი საზოგადოება, ალბათ კიდევ დიდხანს არ დასრულდება. ეს არ იყო დაგეგმილი წინასწარ. როცა იუნესკომ ვაჟას იუბილე შეიტანა თავის მნიშვნელოვან თარიღთა ნუსხაში, ხალხმა აიტაცა. არც სამინისტროს დაუგეგმავს და არც მთავრობას, ქართველმა ხალხმა სპონტანურად დაიწყო ამ თარიღის აღნიშვნა. არ დარჩა ქალაქი, თეატრი, სადაც ვაჟას იუბილე არ იზეიმეს. ყველა ცდილობს, თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ იუბილეში. ამით საოცრად ბედნიერი ვარ. ასეთი დიდი სიყვარული არ მინახავს. შეიძლება სუბიექტური ვარ, მაგრამ ბევრი კლასიკოსი, მწერალი პოეტი მინახავს, რომლის იუბილესაც მთავრობა, სამინისტრო იწყებს, მაგრამ ვაჟას შემთხვევაში პირიქით მოხდა. აქ ქვემოდან წამოვიდა მოძრაობა, უბრალო ხალხმა დაიწყო იუბილეს აღნიშვნა ისე, როგორც შეეძლო. საოცარი ის არის, რომ იუბილეებისგან თავს ვიკავებთ, რადგან ფინანსები არ გვაქვს, რადგან უჭირს ქვეყანას და არ გვაქვს ფული, მაგრამ ამ იუბილეს არ დასჭირდა დიდი თანხები, ამას დასჭირდა მონდომება, ენთუზიაზმი, გული და სიყვარული. მგონია, რომ ეს ყველაფერი გაგრძელდება, არ დამთავრდება დეკემბერში. ვაჟა არის ჩვენი სიყვარული, სიხარული და ღირსება.

ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავთან დაკავშირებით რუსთაველის თეატრმა სპექტაკლი ,,სტუმარ-მასპინძელი'' დადგა. ახმეტელის თეატრი აპირებს მისი შემოქმედება ერთ სპექტაკლში გააერთიანოს. მოეწყო სპეციალური ღონისძიება ,,საჩუქარი ვაჟას'', რომელშიც სუხიშვილებმა და სხვა ცნობილმა ხელოვანებმა მიიღეს მონაწილეობა, ხოლო სექტემბერის დასაწყისში ტრადიციული სახალხო დღესასწაული ,,ვაჟაობა'' გაიმართა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა სპეციალური კონკურსი საუკეთესო სიმღერა ,,ვაჟა-ფშაველას ლექსზე'', სადაც სამი საუკეთესო სიმღერა გამოვლინდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვაჟას იუბილეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლაში კი ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სპეციალური ღონისძიება გაიმართა. მოსწავლეებმა ვაჟას ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულეს. ქართველი პოეტის კვირეული თბილისის ყველა საჯარო სკოლაში ტარდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამარჯვებულს ერთ კვირაში გამოავლენს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამოფენა ,,ვაჟა-ფშაველა — 150'' გაიხსნა, რომელიც საზოგადოების დიდი ინტერესის გამო 11 ნოემბერამდე გაგრძელდება. ექსპოზიცია 24 ოქტომბერს გაიხსნა, სადაც წარმოდგენილია ვაჟას ხელნაწერები, ყველა ის მნიშვნელოვანი ფურცელი თუ ჩანაწერი, რომელთა საშუალებითაც მთის არწივმა თავისი გენიალური შემოქმედება შექმნა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ცნობით, 24-დან 28 ოქტომბრის ჩათვლით ექსპოზიცია დაათვალიერა 877 ვიზიტორმა, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 715-მა მოსწავლემ. პროგრამის ფარგლებში შემუშავებულმა საექსკურსიო-სასწავლო გეგმამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებს ხელი შეუწყო დაეგეგმათ ექსკურსია აღნიშნულ გამოფენაზე.

როგორც ხელნაწერთა ცენტრში განმარტავენ, ამ გამოფენას რამდენიმე მიზანი ჰქონდა. გამოფენის ავტორთა თქმით, მათი მიზანია მომავალ თაობებს რამდენიმე მიმართულებით მისცენ მეტი ინფორმაცია ვაჟა-ფშაველას შესახებ. ამ გამოფენის დათვალიერებით მოსწავლეებს ეცოდინებათ, წარმოდგენა ექნებათ, გაიგებენ, ჩამოუყალიბდებათ განწყობა-დამოკიდებულებები, გამოუმუშავდებათ უნარ-ჩვევები ვაჟას შემოქმედებასთან დაკავშირებით.

ამ გამოფენაზე სტუმრობით ყველა დამთვალიერებელს ეცოდინება ზოგადი ფაქტები ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, სად ინახება ვაჟას პირადი ჩანაწერები და მისი შედევრების ორიგინალები, რა მნიშვნელობა აქვს ვაჟა-ფშაველას პირად არქივს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისათვის, ჩვენი სახელმწიფოსა და ზოგადად, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისათვის. ქართულ საზოგადოებას წარმოდგენა ექნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასა და მემკვიდრეობაზე, საარქივო მასალაზე დაყრდნობით, ვაჟას წერის მანერაზე, მისი მუშაობის პროცესზე, ვაჟას შემოქმედების ძირითად საკითხებზე (ვაჟა ბუნების მესაიდუმლე, პიროვნება და თემი, სამშობლოს თემატიკა, სამართალი, ვაჟა — პუბლიცისტი). ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მისული სტუმრები გაიგებენ ვაჟას პირველი ლექსის, პირველი მოთხრობის, პირველი თარგმანის შესახებ, ვაჟას უკანასკნელი ლექსის შესახებ, დეტალებს ვაჟას შემოქმედებითი ცხოვრებიდან, ვაჟას პირადი წერილების შესახებ. ექსპოზიციაზე გამოფენილი უნიკალური მასალების გაცნობისას ნებისმიერ ადამიანს ჩამოუყალიბდება განსაკუთრებული დამოკიდებულება ვაჟას მათთვის უკვე ცნობილი ნაწარმოებების მიმართ, რომელთა ორიგინალებსაც იხილავს, შეძლებს ნახოს ვაჟას კალიგრაფია (მისი შემოქმედების მსგავსად თავისებური, საინტერესო), გამოუმუშავდეს მისდამი გარკვეული დამოკიდებულება — მოწიწება (ვაჟას და ზოგადად, ძველი ჩანაწერებისადმი).

— ამ გამოფენაზე მოსულ ნებისმიერ დამთვალიერებელს გამოუმუშავდება უნარ-ჩვევები და ეს არის — სამუზეუმო სივრცეში ქცევის უნარი, სამუზეუმო სივრცეში შემეცნებითი ექსკურსიის დაგეგმვამდე ექსპოზიციის შესაბამისი ზოგადი ინფორმაციის გაცნობის უნარი, ექსპოზიციის ნახვისას წარმოდგენილი მასალის ათვისების უნარი (გიდი, საინ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ქართულმა ფილმმა ჩინეთში გაიმარჯვა

ეკა ირემაშვილი

ქართველი რეჟისორის მაკა ბურდულის ფილმი ჩინეთში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესოდ დასახელდა. კინოდოკუმენტალისტი უკვე 21 ფილმის ავტორია, თუმცა, როგორც თავად ამბობს, მის შემოქმედებას საზღვარგარეთ უფრო კარგად იცნობენ, ვიდრე საქართველოში.

მაკა ბურდული ძირითადად ევროპაში მუშაობს. მისი სამოქმედო არეალი საფრანგეთი, პოლონეთი და ევროპის სხვა ქვეყნებია. ქართველი რეჟისორის ფილმების შეძენით კი აქტიურად არის დაინტერესებული სხვადასხვა რუსული ტელეარხი.

მაკა ბურდულის დოკუმენტური ფილმი „ომი და სიყვარული" ჩინეთში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალზე გამარჯვებულ სამ კანდიდატს შორის მოხვდა. ფესტივალის ჟიურიმ კი საბოლოო არჩევანი ქართველი რეჟისორის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მაკა ბურდული 8 ნოემბერს ჩინეთში, სეჩუანის ოლქში მიემგზავრება, სადაც კუთვნილ ჯილდოს მიიღებს. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია 10 ნოემბერს არის დაგეგმილი. წარმატებული რეჟისორი საქართველოში ერთ კვირაში დაბრუნდება.

მაკა ბურდული, რეჟისორი:

— ძალიან მიხარია, რომ ჩემი ნამუშევრები სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალების გამარჯვებული ხდება. ბოლო პერიოდში სამ საკმაოდ პრესტიჟულ კინოფესტივალზე გავიმარჯვე. ჩემი ფილმები „სოფიკო", რომელიც სოფიკო ჭიაურელს ეძღვნება, „ომი და სიყვარული" და „ესკადრილია ლიტუჩეი ვედმი" ერთიმეორის მიყოლებით დაჯილდოვდა. ეს ბოლო ფილმი ომის თემაზეა — ფილმში მთავარი მოქმედი გმირი ორი ქალია. ერთი ოჯახის რძალი და მეორე ბებია, რომლებიც თავის ისტორიას ყვებიან. ბებია არის ომის მონაწილე, წარმატებული, მაგრამ ოჯახის გულისთვის ყველაფერზე თქვა უარი, დაჯდა სახლში და ზრდიდა ბავშვებს. მეორე ქალი არის რძალი, ამ ქალის შვილიშვილის ცოლი. მანაც უარი თქვა ლასკალაზე, კარიერაზე ყველანაირ წარმატებაზე, სწავლობდა ინგლისში, მაგრამ დაჯდა სახლში და ზრდის ბავშვებს. ისიც უბედნიერესია, რომ ოჯახის ქალი და კარგი დედაა. ყველა ჩემი ფილმი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმია. ისინი ინტერნეტშია იუთუბიზე ატვირთული და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ნახოს. ახლა ჩინეთში მივდივარ, სადაც მთავარი პრიზი — ოქროს პანდა უნდა გადმომცენ. ჩინეთში კახა ხაზარაძის დახმარებით მივდივარ.

***— საერთაშორისო კინოფესტივალებში როგორ მონაწილეობთ?***

— როგორც ევრაზიის აკადემიის წევრი, დოკუმენტალისტი, მიწვეული ვარ ხოლმე სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე. ჩემმა ფილმმა „სოფიკო" მიიღო პრიზი საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის. ჯილდოდ გადმომეცა სპეცსკულპტურა — ქალია და მზე უჭირავს ხელში. საკმაოდ საინტერესო ფესტივალია. არავის არ გაუწევია ჩემთვის რეკომენდაცია, უბრალოდ, ბულგარეთში მიიჩნიეს ეს ფილმი საუკეთესოდ და დააჯილდოვეს.



***— ჩინეთში როგორ მოხვდით?***

— ჩინეთში ტარდება თანამედროვე ფილმების ფესტივალი, სადაც გავიმარჯვე ნომინაციაში საუკეთესო დოკუმენტური ფილმი. აქ უკვე საუკეთესოდ დასახელდა ჩემი ფილმი „ომი და სიყვარული" და როგორც გამარჯვებულს, გადმომეცემა ოქროს პანდა.

***— სულ რამდენი ფილმი გაქვთ?***

— 21 ფილმი მაქვს, ყველანაირი ქრონომეტრაჟის — ნახევარი წუთიდან დაწყებული, მოკლემეტრაჟიანი ფორმატით დამთავრებული.

***— „ომი და სიყვარული" სხვა ფესტივალებზეც აჩვენეთ?***

— ეს ფილმი კანის კინოფესტივალზე ჩავიტანე, სადაც დაგვაჯილდოვეს და უფლება მოგვცეს 10-ჯერ გვეჩვენებინა. ვინც ნახა, ყველა გულაჩუყებული გამოდიოდა.

***— ყველაზე ხშირად მშობლებს რატომ იღებთ თქვენს ფილმებში?***

— დედაჩემი ინესა აბესაძე წლების შემდეგ მე დავაბრუნე ქართულ კინოში და გადავიღე მთავარ როლში. ქართულ კინოს დავუბრუნე ნამდვილი ვარსკვლავი დედაჩემის სახით.

***— ქართულ ტელეარხებზე რატომ არ აჩვენებთ თქვენს ფილმებს?***

— შევთავაზე ტელევიზიებს, მაგრამ არ უნდათ. უფრო სწორად, ყველას საჩუქრად უნდა. რუსეთის ტელევიზიებია ჩემი ფილმებით დაინტერესებული, ამიტომ იძულებული ვარ მათ მივყიდო.

***— ქართველი საზოგადოება არ უნდა იცნობდეს თქვენს ფილმებს?***

— ქართული ტელევიზიები ვერ დავაინტერესე ჩემი პროდუქციით.

***— ვინ იმუშავა ამ ფილმებზე?***

— ჩვენ გვყავს შემოქმედებითი ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან პროდიუსერები, მხატვრები, ფოტოგრაფები, მემონტაჟეები — ნინო გელოვანი, ირაკლი გოგუაძე, მარინა კოლხიდაშვილი, თამარ კვანტრიშვილი, ირაკლი ლომსაძე, აკაკი ლომსაძე, რეზო გოგოლაშვილი, ალე მიქაძე, იუსტინა მელნიკიევი.

***— კიდევ რაზე მუშაობთ?***

— გრიგოლ ფერაძეზე მუშაობა დავამთავრე. ამ ფილმზე საქართველოს პატრიარქის, ქართული ეპარქიების მეუფეების, პოლონეთის სამღვდელოების და რუსეთის სამღვდელოების კურთხევა მაქვს. ამ ფილმში უნდა გამოვიყენო მისი უწმინდესობის საგალობლები, ამის კურთხევაც მაქვს. ამ საგალობლებთან ერთად ფილმში ხალხურ საგალობლებსაც ჩავრთავ. ამჯერად მხოლოდ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი გავაკეთე, თუმცა სხვა ჩანაფიქრებიც მაქვს. ეს ის არ არის, რაც მინდა გრიგოლ ფერაძეზე გავაკეთო. უბრალოდ ვახსენებ მაყურებელს ამ ფილმით, როგორი პიროვნება იყო გრიგოლ ფერაძე. ხალხი ითხოვს ამ ფილმს, მაგრამ ფინანსების მოძიება მიჭირს. ბევრი ადამიანი შევაწუხე, თუმცა ვერავინ ვიპოვე. გრიგოლ ფერაძე ერთის კი არა, რამდენიმე ფილმის ღირსია. ახლა დიდი თრეილერი გავაკეთე და ინტერნეტში დევს. იქნებ უცხოელები დაინტერესდნენ. საბოლოოდ რა ფილმის გაკეთებაც მინდა, ყველაფერი წინ მაქვს.

***— მამას იუბილეს არ უძღვნით ფილმს?***

— კი, ვაკეთებ გუჯი ბურდულის იუბილესადმი მიძღვნილ ფილმს. მუშაობა ჯერ არ დამიწყია და უკვე ფესტივალიდან გვაქვს მიწვევა. ინტერესი უკვე არის. თრეილერი რომ გავგზავნე გუჯიზე, მომწერეს, ამ კაცზე დოკუმენტური ფილმი ნამდვილად გვჭირდებაო. ეს თრეილერი საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის დახმარებით გავაკეთე. მამას და დედას არ ვასვენებ, ჩემი კუმირები არიან. მათზე ფილმი რომ გადავიღე გუჯის ახალგაზრდობა გიორგი ობოლაძემ ითამაშა, ხოლო ინესას ახალგაზრდობა მაკა ვასაძემ. ფილმებში ჩემს შვილს აკაკი მაქაცარიასაც ვიღებ. ჩემს მშობლებთან ერთად ჩემი კუმირი დოდო ჭიჭინაძე იყო, რომელიც გამომეცალა ხელიდან და ახლა ჩემი მშობლები დამრჩნენ. დოდო ხშირად მეტყოდა, ჩემი გაზრდილი ხარო. ის ჩემთვის მეორე დედა იყო.

# ვაჟას იუბილე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემაც იზეიმა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ფორმაციო ბანერები, მინაწერები), ექსპოზიციის გაცნობისას დისკუსიაში ჩაბმის უნარი (კითხვის დასმა, აზრის გამოთქმა, არგუმენტის მოხმობა), ექსკურსიაზე მიღებული ინფორმაციისა და უკვე არსებული ცოდნის საფუძველზე ახალი დასკვნების გამოტანისა და ინტერპრეტაციის უნარი. ამ გამოფენის მიზანია ვაჟა-ფშაველას საიუბილეო — 150 წელთან დაკავშირებით, თემის აქტუალიზაცია, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ვაჟა-ფშაველას ავტოგრაფებისა და მასთან დაკავშირებული საარქივო მასალის წარდგენა საქართველოს მასშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის, სტუდენტებისთვის ასევე ფართო საზოგადოებისთვის. ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის გამოცხადებული „ვაჟას იუბილისადმი მიძღვნილ კვირეულის" აღნიშვნა. ჩვენი სამიზნე ჯგუფებია — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორატურა) სტუდენტები, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით დაინტერესებული ფართო საზოგადოება.

გამოფენაზე წარმოდგენილია ყველაფერი ვაჟას შესახებ. ექსპოზიციის ფარგლებში გამოფენილია ვაჟას ცნობილი ლექსებისა და პოემების, მოთხრობებისა და პუბლიცისტური წერილების ავტოგრაფები. გამოფენაზე წარმოდგენილ ნაწერებში ჩანს ავტორი როგორ ცვლიდა, შლიდა და ალამაზებდა თითოეული სტრიქონის კეთილხმოვანებას. დამთვალიერებელი შეძლებს თვალი მიადევნოს ისეთი შედევრების შექმნის სამუშაო პროცესს, როგორებიცაა „ბახტრიონი", „ზვიადაური", „გველის მჭამელი". ამ ექსპოზიციაზეა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდებში დაცული ფოტომასალა. გამოფენაზე მოსულ სტუმრებს საშუალება ექნებათ დაათვალიერონ მეორე ექსპოზიციაც, სადაც წარმოდგენილი იქნება თანამედროვე კალიგრაფების მიერ შესრულებული ვაჟას ნაწარმოებები. ვიზიტორთა ჯგუფებს საშუალება ექნებათ თავადაც შეასრულონ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებები სპეციალურად მომზადებულ სიძველის ეფექტით დაბეჭდილ ფურცლებზე. ექსპოზიციის ფარგლებში შექმნილი ნაწერები აიკინძება და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შეინახება, — აცხადებენ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ვაჟა-ფშაველას საიუბილეო გამოფენის გახსნის დღეს „საერთაშორისო ქართული სკოლის" მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო ვაჟას შემოქმედებიდან პატარების მიერ თიხაში შესრულებული კომპოზიციები.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

● იყიდება მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრ კარკასს, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში, თელეთის ახალ ბაზართან 5 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

## განცხადებები

● სასწრაფოდ! იყიდება ორხევში ახვლედიანის ჩიხში 3160 კვ.მ. ფართის კაპიტალური საწარმო, ფასი 400.000 დოლარი. ტელ: 599-55-68-58.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ძვლებში მეტასტაზების მკურნალობა სწრაფად და შედეგიანად. სისხლის დაცვა და აღდენა ქიმიო და რადიოთერაპიისას. ტელ: 295-23-98.

# ევგრაფი შევარდნაძემ მატჩი ჩაშალა და ტორპედო გაალიდერა

გაიმართა 23-ე ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მე-13 ტურის მატჩები, რომელიც ნაკლული გამოდგა. საქმე ის არის, რომ ფოთის „კოლხეთის“ სტადიონი რემონტშია და მის გაკეთებას საშველი როდის დაადგება, ჯერ არავინ იცის და ფოთელები საშინაო მატჩებს ლანჩხუთში ატარებენ, მაგრამ წვიმის გამო იქ „კოლხეთი“-„ზესტაფონის“ მატჩის ჩატარება შეუძლებელი აღმოჩნდა. ფოტოზეც კარგად ჩანს, თუ რა მდგომარეობაშია სადღეისოდ, ერთ დროს სასიამოვნო სანახავი ევგრაფი შევარდნაძის სახელობს სტადიონი.

**ვიტ ჯორჯია – დინამო 2:2**

**მცხეთა.** მცხეთა პარკი

1:0 ალვარო (12), 1:1 ზაქრაძე (25), 2:1 კახელიშვილი (73), 2:2 ჩიმაკაძე (88)

**ვიტ ჯორჯია:** ძაძამია, ხურცილავა (გიორგი გურეშიძე 83), გოგიაშვილი, ადამაძე, ლანიაშვილი, ვასაძე, გურამ გურეშიძე, ჯანელიძე, კორიფაძე (სიხარულიძე 78), ზაქრაძე (მაისაშვილი 87), ჩიმაკაძე

**დინამო:** ლორია, კაშია, ჰომოლა, გ.გ.რეხვიაშვილი, ოდიკაძე, კვეკვესკირი, ალვარო (თექთურმანიძე 80), კოტო, ჯილაური (კოშკაძე 60), რობერტინიო (კახელიშვილი 69), ჩისკო

ტურის ცენტრალურ მატჩად მოჩნეული შეხვედრა მართლაც თვალსასეირო გამოდგა. ორივე გუნდმა გახსნილი, სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბოლო დროს ვეტერინართა ამბიცია ისეთი არ არის, როგორც რამდენიმე წლის წინ და „დინამოს“ ტოლსწორად ეთამაშებოდა. ახლა დინამოელები ფავორიტად ითვლებოდნენ, თუმცა, როგორც ჩანს, „ვიტ ჯორჯია“ ახალგაზრდულ შევსებასაც კარგად იღებს და საკმაოდ საინტერესო ფეხბურთი შემოგვთავაზა.

პირველ რიგში გამოსარჩევია ვიტელთა კაპიტანი დავით ჯანელიძე, რომლის დიდი დამსახურებაა, რომ ვეტერინარებმა ცენტრში არაფერი დაუთმეს მეტოქეს – მეტიც, გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ. შესაძლოა, ეს იმის ბრალიც იყო, რომ დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა ალექს გარსიამ სასტარტო შემადგენლობაში არ დააყენა კაპიტანი ალექსანდრე კოშკაძე და მის ნაცვლად ახალგაზრდა ჯაბა ჯილაური ათამაშა, თუმცა მე-60 წუთისთვის კოშკაძის თამაშში ჩართვა მაინც დასჭირდა. ერთია, ვიტელებმა ცენტრში მოპოვებულ უპირატესობას არც ამის შემდეგ გაუშვეს ხელი.

თავიდან „დინამო“ უკეთ გამოიყურებოდა და პირველივე ხიფათიც მალევე შეიქმნა – მე-5 წუთზე რობერტინიო მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, დაარტყა კიდეც, მაგრამ ახლო კუთხეში ააცილა. თუმცა, გოლი მაინც მალე გავიდა – მე-12 წუთზე, მარჯვნიდან ჩაწოდებული ბურთი გიორგი ძაძამიას ხელიდან გაუვარდა და მეკარის მიუტევებელი შეცდომით კარგად ისარგებლა მიკელ ალვარომ, რომელმაც ცარიელ კარში მშვიდად გაიტანა.

გატანილი გოლის შემდეგ „დინამო“ შეტევებს განაგრძობდა და მალე ულამაზესი გოლის გატანაც შეეძლოთ – კარლეს კოტომ მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა, საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ჩისკო ერთი შეხებით ცდილობდა გატანას, თუმცა მიზანს ააცილა.

მასპინძლებმა თამაში თანდათან გაათანაბრეს და საპასუხო გოლიც გაიტანეს. 25-ე წუთზე, გიორგი ჯანელიძემ იდეალური პასი მისცა ბექა ზაქრაძეს, რომელიც მეკარესთან რანდევუზე აღმოჩნდა და გიორგი ლორიაც უშანსოდ დატოვა – 1:1.

პირველ ტაიმში დასამახსოვრებელი ეპიზოდი იყო ჩისკოსა და ძაძამიას დუელი. ესპანელი ლეგიონერი პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ მეკარემ იმარჯვა და ჩემპიონატის ერთ-ერთ ბომბარდირს გოლი არ გაატანინა.



„ვიტ ჯორჯიამ“ მეორე ტაიმში სისწრაფეს მოუმატა და უპირატესობასაც დაეუფლა. რამდენიმე კარგი შანსი ხელიდან გაუშვეს კორიფაძემ, ზაქრაძემ და ჩიმაკაძემ. „დინამო“ აშკარად ვერ იყო იშტაზე, მაგრამ მოულოდნელად გოლი მათ გაიტანეს – შეცვლაზე შესულმა გიორგი კახელიშვილმა კედელი გაუთამაშა ჩისკოს და საჯარიმოში შესულმა ძლიერი დარტყმით დააწინაურა თავისიანები – 2:1.

ამის შემდეგ ვეტერინარებმა უფრო შეუტიეს და თამაში გაიხსნა, რასაც კოშკაძის შორიდან დარტყმული მოჰყვა, მაგრამ არანაკლებ კარგად ითამაშა ძაძამიამაც. მალევე ვიტელთა მეკარე ჩისკოს დარტყმულიც მოიგერია.

უქმად არც „ვიტ ჯორჯია“ იყო და იმდენი იბრძოლა, სანამ გოლი არ გაიტანა. გოლამდე, 84-ე წუთზე, ჩიმაკაძემ სამიოდე მეტრიდან ასპროცენტიანი მომენტი გაანიავა. თუმცა, ვეტერინართა თავდამსხმელმა მალევე ქულების გამყოფი გოლიც გაიტანა – „დინამოს“ საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ბურთმა დიდხანს იტრიალა და ყველაზე სასურველ ადგილზე ჩიმაკაძე დაუხვდა, რომელმაც ძლიერად და ზუსტად დაურტყა ლორიას – 2:2 და თამაშიც მორჩა.

**მატჩის შემდეგ:**

**ზურაბ ბერიძე, ვიტ ჯორჯიას მთავარი მწვრთნელი:**

– ვიცოდით, რომ ძალიან კარგ გუნდთან მოგვიწევდა შეხვედრა. სწრაფი გოლი გავუშვით და მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მალე გავათანაბრეთ. მეორე ტაიმში კი „ვიტ ჯორჯიამ“ გაცილებით კარგი ფეხბურთი აჩვენა. შემტევ თამაშს ვგულისხმობ. მოხარული ვარ, რომ ჩვენს ჩემპიონატში ისეთი ბრწყინვალე პიროვნება და სპეციალისტი მუშაობს, როგორიც ალექს გარსიაა. მას წარმატებას ვუსურვებ და აქვე ვიტყვი, რომ „დინამო“ საუკეთესო გუნდია ამ სეზონში. ამას იქედან გამომდინარე ვამბობ, რომ უკვე ყველა გუნდს ვეთამაშეთ.

**ალექს გარსია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:**

– უშუალოდ გუნდში, ფეხბურთელებთან მუშაობაში პრობლემა არაა, მაგრამ გუნდს მიღმა ნამდვილად არაა წყნარი გარემო. წარმოიდგინეთ, ყოველი მატჩი ისეთია, თითქოს ბოლო იყოს. გარედან ვიგებ, რომ ორ თვეში გუნდის აწყობა ვერ მოვახერხე და უნდა გამათავისუფლონ. სამწუხაროა, რომ ეს მესმის გარედან.

***– როგორც ამბობენ, „დინამო“ დეკემბერში თუ პირველ ადგილზე არ იქნება, გარსიას გაათავისუფლებენო. მართალია?***

– არ ვიცი, ამას ამბობენ გარედან. მე ის ვიცი, რომ „დინამოში“ ჩემი მუშაობის ბოლო წუთამდე ყველაფერს გავაკეთებ ამ გუნდის საკეთილდღეოდ.

***– აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ზაფხულში „დინამოს“ შემადგენლობა, ფაქტობრივად, თქვენ არ დაგიკომპლექტებიათ.***

– ასეა. უცებ დავიწყეთ სამზადისი და ევროპის ლიგის მატჩები მოახლოებული იყო. მე „დინამოს“ ყველა ფეხბურთელს ბოლომდე დავიცავ, მაგრამ თავად განსაჯეთ, როდესაც გარედან იგებ გუნდიდან შესაძლო გათავისუფლებაზე და როცა ყველა მატჩი უკანასკნელივითაა, ეს რამდენად წყნარი გარემოა?

***– „ზესტაფონი“, „მეტალურგი“, „ტორპედო“ – ამ გუნდებიდან რომელს მიიჩნევთ საჩემპიონო რბოლაში უმთავრეს მეტოქედ?***

– ჩვენი თავის ყველაზე რთული მეტოქე ჩვენ თვითონ ვართ.

პ.ს. ის რაც გარსიას კულუარულად ესმის, უცხო არც ჩვენთვის არ არის და როგორც ამბობენ, ესპანელ სპეციალისტს დეკემბრიდან თანამდებობას დაატოვებინებენ.

**ტორპედო – დილა 2:1**

**ქუთაისი.** ცენტრალური სტადიონი

1:0 გამეზარდაშვილი (14), 1:1 ვალტერ ხორგუაშვილი (22), 2:1 მეგრელაძე (65)

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, ფოფხაძე, ს.თოდუა, გამეზარდაშვილი, გურული, დიღმელაშვილი, ჩიკვილაძე (იოსელიანი 53), დოლიძე (საბანაძე 74), დ.ბოლქვაძე, თარხნიშვილი, გოცირიძე (მეგრელაძე 61)

**დილა:** შეყრილაძე, გველესიანი, ბაქრაძე, მაჭავარიანი, ჭითანავა, ჯოჯუა, პ.ხორგუაშვილი (გოგინაშვილი 82), ვ.ხორგუაშვილი (ბერაია 72), რაჟამაშვილი, ჩაგელიშვილი (სადაღაშვილი 63), ახალკაცი

არანაკლებ საინტერესო მატჩი შედგა ქუთაისში, სადაც სტუმრად გორის „დილა“ იყო ჩასული. საერთოდ, ქართლური გუნდი საკმაოდ სიმპათიურ შთაბეჭდილებას ტოვებს და ეს გასაკვირიც არ არის – 4:0 გორელებმა ზესტაფონში მოიგეს, ხოლო საქართველოს თასიდან თვით „დინამო“ გამოთიშეს. ამ გუნდების პირველი მატჩიც მართალია, „ტორპედომ“ მოიგო, მაგრამ არც იმ შეხვედრისას იმსახურებდა „დილა“ უქულოდ დარჩენას.

მართალია, მატჩის წინ ქუთაისში დიდი ნალექი მოვიდა, მაგრამ დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გადაიღო და გუნდებს საშუალება მიეცათ კარგ პირობებში ეთამაშათ. დებიუტში ოდნავ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, გორელებს კი აქცენტი კონტრშეტევებზე ჰქონდათ გაკეთებული, რაც ძალიან კარგად და მწვავედ გამოსდიოდათ. თუმცა, რიონისპირელებმა სწრაფი გოლის გატანა მოახერხეს – კუთხურის შემდეგ საჯარიმოში ყველას დავით გამეზარდაშვილმა დაასწრო – 1:0.

სწრაფი გოლის შემდეგ „დილა“ თითქოს უნდა გაეტეხა, მაგრამ ასე არ მოხდა. გოლის გატანიდან ორი წუთიც არ იყო გასული, რომ გამეზარდაშვილმა ამჯერად თავი დაცვაში გამოიჩინა, როდესაც დავით რაჟამაშვილის პასის შემდეგ ვალტერ ხორგუაშვილი ახლო მანძილიდან ცდილობდა გატანას, მაგრამ გამეზარდაშვილმა თავგანწირვით ითამაშა და ბურთი ცხვირწინ აალა.

22-ე წუთზე, სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხეს – რაჟამაშვილმა ეფექტური პასით ქუთაისელთა საჯარიმოში ვალტერ ხორგუაშვილი მოძებნა, რომლის ხელის შეშლას ამჯე-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ვულვზი-უიგანი | 3:1 |
| ბოლტონი-სტოკი | 5:0 |
| ფულემი-ტოტენჰემი | 1:3 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-ბარნსლი | 2:0 |
| ლესტერი-ლიდსი | 0:1 |
| რედინგი-ბირმინგემი | 1:0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რეალი-ოსასუნა | 7:1 |
| გრანადა-რასინგი | 0:0 |
| სარაგოსა-სპორტინგი | 2:2 |
| რაიო-სოსიედადი | 4:0 |
| ესპანიოლი-ვილიარეალი | 0:0 |
| ბილბაო-ბარსელონა | 2:2 |
| ხეტაფე-ატლეტიკო | 3:2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ხიმნასტიკი-საბადელი | 5:0 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატალანტა-კალიარი | 1:0 |
| კიევო-ფიორენტინა | 1:0 |
| ლაციო-პარმა | 1:0 |
| მილანი-კატანია | 4:0 |
| უდინეზე-სიენა | 2:1 |
| ჩეზენა-ლეჩე | 0:1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-შალკე | 2:2 |
| აუგსბურგი-ბაიერნი | 1:2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ალემანია-დუისბურგი | 2:2 |
| ფრანკფურტი-ჰანზა | 0:0 |
| კოტბუსი-პადერბორნი | 0:2 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

| | |
|---|---|
| კაენი-დიჟონი | 3:0 |
| ლორიენი-აიაჩო | 2:0 |
| მარსელი-ნიცა | 2:0 |
| ნანსი-ბრესტი | 2:1 |
| რენი-ვალანსიენი | 1:1 |
| სენტ ეტიენი-მონპელიე | 1:1 |
| სოშო-ლიონი | 2:1 |
| ოსერი-ტულუზა | 2:0 |
| ბორდო-პსჟ | 1:1 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

| | |
|---|---|
| უტრეხტი-აიაქსი | 6:4 |
| ალკმაარი-დენ ჰააგი | 3:0 |
| ტვენტე-გრააფსხაპი | 4:0 |
| ეინდჰოვენი-ერაკლესი | 4:1 |

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვოლენდამი-ტელსტარი | 4:1 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბეირა მარი-ფეირენსე | 2:1 |
| სეტუბალი-ჟილ ვისენტე | 0:0 |
| რიუ ავე-ნასიონალი | 2:1 |
| ბრაგა-ბენფიკა | 1:1 |
| სპორტინგი-ლეირია | 3:1 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ნალჩიკი-ამკარი | 2:1 |
| ყუბანი-ზენიტი | 1:1 |
| ვოლგა-რუბინი | 1:0 |
| ლოკომოტივი-ცსკა | 1:1 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| მოზერველი-სელტიკი | 1:2 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-ზალცბურგი | 3:0 |
| შტურმი-კაფენბერგი | 1:0 |
| აუსტრია-ინსბრუკი | 2:2 |

**ბელგია. პროლიგა**

| | |
|---|---|
| სერკლი-ანდერლეხტი | 1:0 |
| სტანდარდი-ბრიუგე | 2:1 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| გრასჰოპერსი-სიონი | 2:1 |
| ქსამაქსი-ციურიხი | 3:1 |
| სერვეტი-იანგ ბოიზი | 1:0 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ერგოტელისი-პანეთოლიკოსი | 0:0 |
| ასტერასი-პაოკი | 1:0 |
| ქსანთი-კერკირა | 1:0 |
| პანათინაიკოსი-აეკი | 3:2 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ისთამბული-ბურსა | 0:0 |
| ტრაბზონი-ქაისერი | 2:1 |
| გენჩლერი-ბეშიქთაში | 4:2 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| ბოლესლავი-დუკლა | 3:1 |
| სლავია-პლზენი | 2:1 |
| ტეპლიცე-სლოვაცკო | 2:1 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

| | |
|---|---|
| ზაგლებიე-შლიონსკი | 1:5 |
| კრაკოვია-ვისლა | 1:0 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ოლექსანდრია-ვორსკლა | 1:1 |
| ობოლონი-შახტარი | 0:2 |
| მეტალისტი-დინამო | 1:2 |

**დანია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სილკებორგი-მიდტიულანდი | 4:1 |
| კიოგე-ნორდსიელანდი | 0:2 |
| კოპენჰაგენი-ლუნგბიუ | 3:0 |
| ოდენსე-ბრონდბიუ | 0:0 |

**ნორვეგია. თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბრანი-ალესუნდი | 1:2 |

**ირლანდია. თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| სლიგო-შელბურნი | 1:1(4:1პ) |

**აშშ. მლს**

**პლეი ოფი. ნახევარფინალები**

| | |
|---|---|
| კანზასი-ჰიუსტონი | 0:2 |
| ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი | 3:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ავაი-სეარა | 1:2 |
| ამერიკა-კორინთიანსი | 2:1 |
| სანტოსი-ვასკო | 2:0 |
| ფლამენგო-კრუზეირო | 5:1 |
| ატლეტიკო(პ)-ატლეტიკო(გ) | 2:1 |
| ინტერნასიონალი-ფლუმინენსე | 1:2 |
| პალმეირასი-კურიტიბა | 0:2 |

**არგენტინა. აპერტურა**

| | |
|---|---|
| ბანფილდი-ლანუსი | 1:2 |
| უნიონი-ოლდ ბოიზი | 2:1 |
| ველეჟი-ბოკა | 0:0 |

**ფრენბურთი**

**მსოფლიოს თასი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| იტალია-დომინიკანების რესპ. | 3:0 |
| სერბეთი-კენია | 3:1 |
| არგენტინა-აჟირი | 3:1 |
| ბრაზილია-გერმანია | 3:1 |
| აშშ-კორეა | 3:0 |
| იაპონია-ჩინეთი | 2:3 |

**ხელბურთი**

**მჩ. საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| შვეიცარია-იტალია | 37:29 |
| უკრაინა-თურქეთი | 32:20 |
| ისრაელი-დ.ბრიტანეთი | 29:20 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| გერმანია-ესპანეთი | 23:27 |
| დანია-შვედეთი | 23:26 |
| ავსტრია-ბელარუსი | 31:28 |
| პოლონეთი-რუსეთი | 29:29 |
| სერბეთი-ჩეხეთი | 23:24 |
| ხორვატია-უნგრეთი | 30:22 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. ბაზელი. ჰალი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ფედერერი-ნიშიკორი | 6:1;6:3 |

**ატპ. ვალენსია. ჰარდი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| მონაკო-გრანოლერსი | 2:6;6:4;6:7 |

**ვტა. ჩემპიონთა ტურნირი**

**მესამე ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| პეტროვა-ჰანტუჩოვა | 6:2;5:7;6:0 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ივანოვიჩი-მედინა გარიგესი | 6:3;6:0 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ფლორიდა-ტამპა ბეი | 3:3(0:1ბ) |
| რეინჯერსი-ვინიპეგი | 3:0 |
| ჩიკაგო-ვანკუვერი | 2:6 |
| კოლორადო-კალგარი | 1:2 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# აშშ: რუსეთი და ჩინეთი კიბერჯაშუშობის ლიდერები არიან

ეკონომიკურ კიბერშპიონაჟზე ამერიკული კონტრდაზვერვის ბოლო მოხსენებამ თავისი გულახდილობით დამკვირვებლები გააოგნა. დოკუმენტში ჩინეთის და რუსეთის მიმართ ღია ბრალდებებია გაჟღერებული, რამაც აშშ-ში დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

როგორც „ნიუ-იორკ-ტაიმსი“ შენიშნავს, მართალია ამერიკელი წარმომადგენლები რამდენიმე წელი შენიშნავდნენ, რომ ინტერნეტის საშულებით ეკონომიკური საიდუმლოებების მოპარვაში ეჭვმიტანილებს შორის ეს ორი ქვეყანა პირველ ადგილს იკავებს, ადრე ამაზე ასე საჯაროდ არასოდეს აცხადებდნენ.

ამერიკელი ჩინოვნიკები ასეთ დამოკიდებულებას იმით ხსნიდნენ, რომ კიბერსივრცეში დამრღვევების გამოვლენა რთულია და ამტკიცებდნენ, რომ უმჯობესია მსგავსი საკითხები დიპლომატიური არხებით გადაწყდეს. ქვეყნის ყველაზე დიდტირაჟიანი გაზეთის, „უოლსტრიტ-ჯორნალის“ აზრით, პეკინთან და მოსკოვთან დიპლომატიური გართულებების თავიდან ასაცილებლად, აშშ წარსულში პირდაპირი ბრალდებებისგან თავს იკავებდა. გაზეთი წერს, რომ აშშ-ს სხვადასხვა მიზეზებით ეს ქვეყნები სჭირდება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ამერიკის უმსხვილესი კრედიტორია და მისი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი. გარდა ამისა, ჩრდილოეთ კორეის სარაკეტო-ბირთვული ამბიციების მოთოკვაში, ვაშინგტონი პეკინის დახმარებას კვლავ იმედოვნებს. რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს გავლენიანი წევრია და აშშ ირანულ და რიგ სხვა საკითხებში მის დამხარებაზე გათვლას აკეთებს.

ვაშინგტონმა ორივე ქვეყანასთან ურთიერთობების გაუმჯობესება დაიწყო, ამიტომ დიდი ხნის განმავლობაში კიბერშპიონაჟში ბრალდებებს არ უყენებდა.

კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ ასეთი მიდგომა პრობლემების გადაწყვეტას ხელს უშლის.

— როდესაც ასეთ რაღაცეებს ყურადღებას არ აქცევთ და თემას ახშობთ, ამასთან დაკავშირებით არავინ არაფერს გააკეთებს, — განაცხადა კიბერუსაფრთხოების პრობლემებით დაკავებული ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ალან პოლერმა.

პოლერი კიბერჯაშუშობაზე ამერიკული კონტრდაზვერვის მოხსენების პრეზენტაციაზე ერთ-ერთი გამომსვლელი იყო.

აშშ-ს კონგრესმა მას ყოველ ორ წელიწადში უცხოურ ეკონომიკურ და საწარმოო ჯაშუშობაზე მოხსენების მომზადება დაავალა, ცხადია, კრიტიკოსების აზრმა გაიმარჯვა: ბოლო მოხსენება ნაკლებად დიპლომატიურია; ამასთანავე, ამერიკელი წარმომადგენლები შეეცადნენ, რომ დოკუმენტს პრესისთვის გვერდი არ აევლო.

— ჩინეთი და რუსეთი თავიანთი სადაზვერვო სამსახურებით და კორპორაციებით ჩვენს კვლევებსა და ნაწარმზე შეტევებს ახორციელებენ, — განაცხადა მოხსენების პრეზენტაციაზე აშშ-ს კონტრდაზვერვის ხელმძღვანელმა რობერტ ბრაიანტმა, რომელიც ჟურნალისტების წინაშე იშვიათად ჩნდება. აშშ-ს წინააღმდეგ ეკონომიკურ შპიონაჟს ზოგიერთი მოკავშირე სახელმწიფოც ახორციელებს, მათ შორის ასახელებენ საფრანგეს და ისრაელს. ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსი ჯეიმს ვულსი ფრანგებს პირდაპირ ბრალს სდებდა, რომ ისინი ამერიკული კომპანიების კომერციულ საიდუმლოებებზე თავდასხმებს ახორციელებენ.

ბოლო მოხსენება გაფრთხილებას შეიცავს იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ-ს ზოგიერთი მოკავშირე და პარტნიორი ამერიკულ დაწესებულებებში თავისუფალ შეღწევას იყენებს, რათა გასაიდუმლოებულ ეკონომიკურ და ტექნიკურ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა ჰქონდეს“. თუმცა, მოხსენებაში შეუდარებლად მეტი ყურადღება ეთმობა ჩინეთის და რუსეთის მცდელობებს, მოიპარონ ასეთი ინფორმაცია; ასევე აღნიშნულია, რომ ამ ნაწილში უპირობო ჩემპიონი ჩინეთია, ხოლო რუსეთი მეორე ადგილს იკავებს.

მოხსენებაში საუბარია 10 რუსი მზვერავის საქმეზე, რომლებიც გასული წლის ივნისში დააპატიმრეს და „რომლებსაც ეკონომიკური და ტექნიკური ინფორმაციის შეკრების დავალება ჰქონდათ“.

მოხსენების ავტორები პროგნოზირებენ, რომ ამერიკული საიდუმლოებებისადმი რუსული საფრთხე უახლოეს წლებში მხოლოდ გაიზრდება; კერძოდ, იმ მიზეზით, რომ რუსეთის საგარეო დაზვერვა ააქტიურებს „მრავალრიცხოვანი რუსი იმიგრანტების გადაბირებას, რომლებიც ფართო ტექნიკურ უნარ–ჩვევებს ფლობენ და ამერიკის წამყვან კომპანიებში მუშაობენ“.

— დასავლეთთან რუსეთის მზარდი ეკონომიკური ინტეგრაცია იქამდე მიგვიყვანს, რომ აშშ-ში სადაზვერვო ორგანოებთან დაკავშირებული სულ უფრო მეტი რუსული კომპანიები იმუშავებენ. ხშირად ასეთ კომპანიებში სადაზვერვო ორგანოებიდან წასული თანამშრომლები გვხვდებიან, — ნათქვამია მოხსენებაში. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, დღეისთვის შსს-თვის კიბერჯაშუშობა უფრო სერიოზული საფრთხეა, ვიდრე მისი ტრადიციული ნაირსახეობები.

# გეორგიუს პაპანდრეუ: პრემიერი, რომელსაც საბერძნეთის შეცვლა უნდოდა



გეორგიუს პაპანდრეუ იმ გავლენიან პოლიტიკურ კლანს ეკუთვნის, რომელმაც თანამედროვე საბერძნეთის ისტორიაში გამოჩენილი როლი ითამაშა.

გეორგიუს პაპანდრეუს პოლიტიკური მემკვიდრეობა არაერთმნიშვნელოვანია. მან საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი მაშინ დაიკავა, როდესაც ქვეყანა ვალებში იხრჩობოდა.

ეკონომიკური რეფორმების გატარებაზე მისი დაპირებები ქვეყანას ეხმარებოდა, რომ ევროკავშირისგან და მსოფლიო სავალუტო ფონდისგან ახალი კრედიტები მიეღო. ბოლოს იგი დავალიანების 150 მილიარდ დოლარიან უფსკრულად იქცა.

ბოლოს და ბოლოს სიტუაცია იმდენად რთული გახდა, რომ ევროკავშირის წამყვანმა ქვეყნებმა საბერძნეთსა და მის პრემიერ-მინისტრზე ძლიერი პოლიტიკური ზეწოლა განახორციელეს. მას აიძულებდნენ, რომ ბიუჯეტის დეფიციტი და სოციალურ საჭიროებებზე დანახარჯები შეემცირებინა.

საპასუხოდ ათენში და საბერძნეთის სხვა ქალაქებში ასეულ ათასობით განრისხებული მოქალაქე გამოვიდა, რომელთაც სოციალური სიკეთეების დაკარგვა არ სურდათ და კეთილდღეობის დონის შემცირებას არ ეთანხმებოდნენ.

— ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ბერძენ ხალხს ეკონომიკური კრიზისი ღირსეულად გადააქვს. საბერძნეთის მთავრობას და ხალხს სტაბილურობის და ზრდის მიღწევით, ქვეყნის განვითარების გზის შეცვლაᲠურს, — ამბობდა პრემიერ-მინისტრი გეორგიუს პაპანდრეუ.

პაპანდრეუ ევროპელ ლიდერებს დაპირდა, რომ მათთან შეთანხმებულ ზომებს გაატარებდა. სანაცვლოდ, ვალის ნაწილი უნდა ჩამოეწერათ და 130 მილიარდი ევროს ფინანსური დახმარება გაეწიათ.

ამავე დროს, რეფორმების შედეგად კორუფციული ტრადიციებისთვის ბოლოს მოღება და გადასახადების გადაუხდელობის აღმოფხვრა სურდა, რასაც საბერძნეთში ღრმა ფესვები აქვს. საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში პაპანდრეუს კლანი უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ხშირად მას ამერიკაში კენედის კლანს ადარებენ.

გეორგიუს პაპანდრეუ — ერთი ყოფილი პრემიერის შვილი და მეორეს შვილიშვილია. ის მქუხარე პოლიტიკური მოვლენების უშუალო მოწმე იყო. 1967 წელს მამამისი ანდრეას პაპანდრეუ, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა, მეფესთან ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაება.

ეს დაპირისპირება სამხედრო გადატრიალებამ შეწყვიტა, ქვეყნის ხელისუფლებაში სამხედრო ხუნტა მოვიდა. მალე პაპანდრეუს სახლში ჯარისკაცები შეიჭრნენ.

პაპანდრეუს ოჯახმა ქვეყანა დატოვა და შვედეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. გეორგიუსმა განათლება ევროპულ სკოლებსა და უნივერსიტეტებში მიიღო. ის სამშობლოში მხოლოდ 1974 წელს დაბრუნდა, იქ დემოკრატიის აღდგენის შემდეგ. ის მამამისის პარტიას, საერთო-ბერძნულ სოციალისტურ მოძრაობას შეუერთდა.

1980-იან წლებში ის ევროპელ სოციალისტებთან აქტიურად ურთიერთობდა. სწორედ მაშინ გაიცნო გლენის კინოკი, ბრიტანელი ლეიბორისტების მაშინდელი ლიდერის ნილ კინოკის მეუღლე.

— გეორგიუს პაპანდრეუ ჯერ კიდევ მაშინ დაშორდა ტრადიციულ პოლიტიკურ ოპოზიციას. ის კორუფციის და მფლანგველობის წინააღმდეგ გამოვიდა. მკვეთრი გამონათქვამების არ ეშინოდა, მიუხედავად იმისა, რომ მშვიდი ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა, — ამბობს გლენის კინოკი.

2009 წელს სოციალისტურმა მოძრაობამ არჩევნებში გაიმარჯვა. კოალიციურ მთავრობებში გეორგიუს პაპანდრეუ განათლების, რელიგიის და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტებს იკავებდა.

საგარეო მონისტრის რანგში მან ბევრი გააკეთა თურქეთის ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ამას ერთიანი ევროპის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად თვლიდა. ამ გადაწყვეტილებას ბევრი ბერძენი მოწონებით არ შეხვდა.

— გეორგიუსმა საბერძნეთის საგარეო პოლიტიკის ყველა საფუძველი გადააბრუნა და განაცხადა, რომ თურქეთის ევროკავშირში ხილვა სურს. საბერძნეთის მოსახლეობის 80-90% ამის წინააღმდეგი იყო. მან განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება აუცილებელი იყო, — ამბობს ბრიტანელი ჟურნალისტი მიშა გლენი.

ხალხის რისხვას პაპანდრეუ მოგვიანებითაც შეეჯახა, როდესაც პრემიერ-მინისტრი გახდა. მისიმკაცრი ეკონომიის წინააღმდეგ გამოვიდნენ მასწავლებლების, ჟურნალისტების, სახელმწიფო მოსამსახურეების პროფკავშირები.

ოპოზიცია მის წასვლას მოითხოვდა. ისინი აცხადებდნენ, რომ პაპანდრეუ ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად საჭირო ადამიანურ თვისებებს არ ფლობს. ევროკავშირის ოქტომბრის სამიტზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ პაპანდრეუმ მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა — მან გამოაცხადა, რომ რეფერენდუმის ფარგლებში ბერძენი ხალხისთვის მიმართვას აპირებს.

აღმოჩნდა, რომ მან საკუთარი კაბინეტის მინისტრების მოსაზრებები არ გაითვალისწინა და ამ პოლიტიკურმა შეცდომამ მისი გადადგომა გამოიწვია.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 2. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 3. ზმნის დრო გრამატიკაში; 5. აეროპორტი პარიზში; 6. ესპანეთის ნაკრებისა და „ჩელსის“ ფეხბურთელი; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 13. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 14. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 15. მთიანეთი აზიაში; 19. სამკითხაო ბანქო.

**თარაზულად:** 1. შაქრითა და სუნელებით შეზავებული ცხელი წითელი ღვინისგან მომზადებული სასმელი; 4. აზნაურის ტიტული საფრანგეთში; 7. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 9. ზომიერება, მომჭირნეობა ხარჯვაში; 10. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. მდგომარეობა ჭიდაობაში; 17. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 18. სხვისი კეთილდღეობისათვის უანგაროდ მზრუნველი ადამიანი; 20. დაბალი რანგის დიპლომატი; 21. თვალ-მარგალიტით შემკული თავსამკაული; 22. უნივერსიტეტი ინგლისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**სკანვორდის პასუხები:**

1. ომი; 2. არაყი; 3. ოსლო; 4. შხარა; 5. მერი; 6. მული; 7. აშოტ; 8. სალტე; 9. მერანი; 10. ვახ; 11. კია; 12. ანრი; 13. აკაცია; 14. ალგებრა; 15. გალიანო; 16. ნარდი; 17. იარ; 18. კლინტ; 19. რიო; 20. ბაო; 21. რალი; 22. აბი; 23. გვინეა; 24. პატრი; 25. ტატამი; 26. აბზინდა; 27. პო. 28. სიო; 29. აგა; 30. პაროდია; 31. ვოლანი; 32. ნარვალი; 33. თეორემა; 34. სინემა.

სურათებზე: ტანია კალილი; ალბერტ ლუკე.

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ვერდიქტი; 6. კრიმპლინი; 9. კომოდი; 10. სკალპი; 11. ამური; 13. კიური; 15. მანანა; 18. სვავი; 21. პორტვაინი; 22. ესკადრა; 23. პატენტი.

**შვეულად:** 1. თერმოსი; 2. სილოსი; 3. ოიდიპოსი; 4. ვითერიტი; 7. ლიტერიანი; 8. ერმიტაჟი; 12. სიამაგი; 14. პატიოსანი; 16. კვაკერი; 17. დიაფანი; 19. ვიზა; 20. ბანი.

# საპრეზიდენტო არჩევნები ლათინურ ამერიკაში



გვატემალასა და ნიკარაგუაში საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით აშკარა ფავორიტები გამოვლინდნენ.

გვატემალაში გადამდგარი გენერალი, მემარჯვენე პატრიოტული პარტიის ლიდერი ოტო პერეს მოლინა იმარჯვებს. ნიკარაგუაში სახელმწიფოს მოქმედი ხელმძღვანელი დანიელ ორტეგა ლიდერობს.

პერეს მოლინა ბიულეტენების 90 პროცენტის დამუშავების შემდეგ ხმების თითქმის 55%-აგროვებს და უახლოს მეტოქეს, აღორძინების დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ მანუელ ბალდინსონს ათი პროცენტით ასწრებს.

11 სექტემბრის პირველ ტურში ვერც ერთმაMკანდიდატმა ხმების აუცილებელი რაოდენობა ვერ დააგროვა.

პერეს მოლინა 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას უკვე იღებდა. მაშინ უმნიშვნელო ჩამორჩენით დამარცხდა გვატემალის ამჟამინდელ ლიდერ კოლომა კაბალეროს ალვაროსთან.

ამ არჩევნებზე პერესის მაღალ მონაცემებს უკავშირებენ მის დაპირებას, რომ ბანდიტიზმთან ბრძოლას გააძლიერებს. ღარიბი სახელმწიფო მკვლელობების რიცხვით დასავლეთ ნახევარსფეროში პირველ ადგილს იკავებს.

ნიკარაგუას მოქმედი პრეზიდენტი დანიელ ორტეგა ხმების 66%-ს აგროვებს. მისი მთავარი კონკურენტი მემარჯვენეების წარმომადგენელი ფაბიო გადეა მას შესამჩნევად ჩამორჩება და მხოლოდ 25 პროცენტს აგროვებს.

ორტეგამ ქვეყნის უღარიბესი მოსახლეობის მხარდაჭერა მიიღო. მან სოციალურ სფეროზე დანახარჯები მნიშვნელოვნად გაზარდა.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნიკარაგუაში ეკონომიკური ზრდა ფიქსირდება, რაც დიდწილად უგო ჩავესის მატერიალურმა მხარდაჭერამ გამოიწვია.

ამასთან, ორტეგას ხშირად ადანაშაულებენ, რომ როგორც მისი თანამებრძოლი ჩავესი, ქვეყანაში დემოკრატიულ წყობას საფრთხეს უქმნის და ხელისუფლებაში უვადოდ ყოფნისკენ ისწრაფვის.

ორტეგა უმაღლეს ხელისუფლებაში 2006 წელს დაბრუნდა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# ტურა სანჩესს კიდევ ერთხელ გაასამართლებენ

უპირველეს საერთაშორისო ტერორისტად მიჩნეული ილიჩ რამირეს სანჩესი, მეტსახელად „ტურა კარლოსი“, 1980-იან წლებში ოთხი აფეთქების ორგანიზებისათვის პარიზის სასამართლოს წინაშე წარდგება.

1975 წელს საფრანგეთის უშიშროების სამსახურის ორი თანამშრომლის მკვლელობისათვის რამირეს სანჩესი საფრანგეთში სამუდამო პატიმრობის ვადას იხდის.



1994 წელს იგი საფრანგეთის სპეცდანიშნულების რაზმმა სუდანში, საავადმყოფოს პალატიდან გაიტაცა და პარიზში ტომრით ჩაიყვანა.

62 წლის ვენესუელელმა სახელი ცივი ომის წლებში გაითქვა. იგი მრავალრიცხოვანი აფეთქებების, გატაცებებისა და მკვლელობების ორგანიზატორი იყო.

კარლოსი ამტკიცებს, რომ პირადად 80 ადამიანზე მეტი ჰყავს მოკლული.

1975 წელს იგი ხელმძღვანელობდა თავდასხმას ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის შტაბბინაზე ვენაში. სადაც მან მძევლად რამდენიმე ათეული ადამიანი აიყვანა, მათ შორის 11 მინისტრი. ამ თავდასხმის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა.

ავსტრიის ხელისუფლებამ მის ჯგუფს თვითმფრინავი გამოუყვეს. კარლოსის ჯგუფის წევრებმა თავშესაფარი ალჟირში მიიღეს.

რამირესისათვის წაყენებული ახალი ბრალდებები 1982 და 1983 წლებში მომხდარ ოთხ თავდასხმას ეხება, რის შედეგადაც 11 ადამიანი დაიღუპა, 100 დაიჭრა.

ბრალდების თანახმად, ამ აფეთქებებით რამირესის ჯგუფი ცდილობდა აეძულებინა ხელისუფლები, მათი ორი თანამზრახველი გაეთავისუფლებინათ. მათ შორის იყო ვინმე მაგდალენა კოპი, ვისთანაც რამირესმა მოგვიანებით იქორწინა.

რამირესი ამ თავდასხმებთან კავშირს უარყოფს.

2011 წლის ოქტომბერში რადიო ევროპა 1-ის ინტერვიუში მან განაცხადა, რომ სასამართლოს წინაშე საბრძოლო განწყობით წარდგება.

ტურა კარლოსს დამნაშავედ აღიარების შემთხვევაში სამუდამო პატიმრობის მეორე განაჩენი ელის.

რამირესი ვენესუელაში, მდიდარ ოჯახში დაიბადა. პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციაში გაწევრიანებამდე მოსკოვში სწავლობდა. Mმეტსახელი „ტურა“ მან მას შემდეგ მიიღო, რაც მის ნივთებში ფრედერიკ ფორსაიტის რომანის „ტურას დღე“ ეგზემპლარი იპოვეს.

1975 წელს რამირესმა ისლამი მიიღო.

სასამართლოში მას ადვოკატი იზაბელ კუტან პეირი დაიცავს, რომელიც 1997 წლის პროცესის დროს მის ინტერესებს იცავდა. ათი წლის წინ მათ ციხეში იქორწინეს. ცერემონიალი მუსლიმანური წესებით გაიმართა.

გ.თ.

# ტიმოშენკოს წინააღმდეგ ოთხ საქმეს იძიებენ



უკრაინის საგადასახადო მილიციამ ყოფილი პრემიერის იულია ტიმოშენკოს წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის ოთხი საქმის გამოძიება განაახლა.

ეს საქმეები 1990-იანი წლების მეორე ნახევარში გადაუხდელ გადასახადებს ეხება. მაშინ ტიმოშენკო კომპანია „ედინიე ენერგეტიჩესკიე სისტემი უკრაინის“ ხელმძღვანელობდა.

ეს საქმეები 2000-იანი წლების დასაწყისში ხანდაზმულობის ვადის გამო დაიხურა.

მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს უკრაინის გენპროკურორის მოადგლე რენატ კუზმინმა განაცხადა, ორმ საგამოძიებო ორგანოები იძიებენ სისხლის სამართლის სამ საქმეს, სადაც ტიმოშენკოს სახელი ფიგურირებს. კუზმინმა იმედი გამოთქვა, რომ ამ საქმეებთან დაკავშირებით ყოფილ პრემიერ იულია ტიმოშენკოს დამნაშავედ ცნობენ.

მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს ტიმოშენკოს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს პრემიერ-მინისტრის პოსტზე რუსეთთან გაზის შესყიდვის კონტრაქტის ხელმოწერის დროს სამსახურებრივი უფლებამოსილებების გადაჭარბების ბრალდებებით.

ეს განაჩენი გასაჩივრებულია და მას სააპელაციო სასამართლოში განიხილავენ.

განაჩენმა ევროკავშირისა და რუსეთის კრიტიკა გამოიწვია. დასავლეთის ქვეყნებმა, გარდა ამისა, რიგმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ტიმოშენკოს სასამართლო დევნა პოლიტიკურად არის მოტივირებული და პოლიტიკური კონკურენტების წინააღმდეგ მართლმსაჯულების მიზანმიმართულად გამოყენების მაგალითს წარმოადგენს.

უკრაინის ოპოზიციამ ევროკავშირს ქვეყნის ხელისუფლების რიგი წარმომადგენლების საბანკო ანგარიშების ბლოკირების თხოვნით მიმართა და პროცესი პოლიტიკურად გამოაცხადა. უკრაინის უზენაესმა რადამ ახლო მომავალში სისხლის სამართლის იმ მუხლების დეკრიმინალიზაციის საკითხი უნდა განიხილოს, რომელთა მიხედვითაც ტიმოშენკო გაასამართლეს.

შესწორებების თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობების ბოროტად გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიჩნეული, თუკი ეს ქმედება მიზნად პირად გამორჩენას ისახავდა.

მიმდინარე წლის ოქტომბერში იულია ტიმოშენკოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის კიდევ ერთი საქმე აღიძრა კერძო კორპორაცია „ედინიე ენერგეტიჩესკიე სისტემის“ ვალების სახელმწიფოსათვის დაკისრების ბრალდებებით.

ამ ბრალდებების მიხედვით ტიმოშენკოს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა ელის.

გ.თ.

# ევგრაფი შევარდნაძემ მატჩი ჩაშალა და ტორპედო გაალიდერა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რად თოდუა შეეცადა და ვარდნაში ცდილობდა ბურთი აერთვა, მაგრამ მისი ფეხიდან ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა, მიგინეიშვილს თავზე გადაევლო და კარში ჩაეშვა — 1:1. თითქოს ულოგიკო გოლი იყო, მაგრამ „დილა“ თამაშიდან გამომდინარე იმსახურებდა.

თამაში ამის შემდეგაც იგივე სცენარით გაგრძელდა. ქუთაისლები უფრო მეტს უტევდნენ, გორელები იშვიათად და მწვავედ. მიგინეიშვილმა კიდევ ორჯერ იხსნა კარი. თუმცა, ტაიმის მიწურულს გორელებს არაფერი უშველიდა, ხარიხა რომ არ წახმარებოდათ — დიღმელაშვილმა, დაახლოებით 30 მეტრიდან უძლიერესად გაისროლა და გორელთა კარი შეაზანზარა.

მატჩის მე-2 ტაიმში პირველი ხიფათი გორელებმა შექმნეს — სწრაფად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ კარში ჩაგელიშვილი ურტყამდა, მაგრამ მიგინეიშვილმა ნახტომში შეძლო ბურთის მოგერიება, დამატებას ვალტერ ხორგუაშვილი ცდილობდა, მაგრამ ისევ მეკარემ იმარჯვა და თავდამსხმელს დარტყმა არ აცადა, რაც ტრავმის ფასად დაუჯდა, თუმცა მალევე ჩადგა მწყობრში და თამაში გააგრძელა.

გია გეგუჩაძემ შეცვლებს მიმართა — მოედანზე იოსელიანი და მეგრელაძე შეუშვა, რომლებმაც აშკარად გაამწვავეს ტორპედოელთა შეტევები. 65-ე წუთზე მასპინძლები ისევ დაწინაურდნენ — კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი სტუმართა ცენტრალურმა მცველებმა თავით გამოიტანეს, ბურთი დიღმელაშვილმა საჯარიმოში ჩააბრუნა, სადაც მეგრელაძე დაუხვდა და — 2:1. აღსანიშნავია, რომ ეს იყო მეგრელაძის მე-15 ბურთი გორელთა კარში.

თამაში სწრაფ ტემპში გაგრძელდა, თუმცა ხიფათამდე საქმე დიდი ხნის მანძილზე არ მიდიოდა. ბოლოს გორელები ქულის გადასარჩენად მთელი გუნდით წავიდნენ წინ და ამ დროს მასპინძლებს მათ დაცვაში ზონები გაეხსნათ. 87-ე წუთზე, საბანაძემ ითამაშა მარცხენა ფლანგზე ოსტატურად, მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და უკეთეს მდგომარეობაში მყოფ ბოლქვაძეს გადააწოდა, მანაც თითქოს კარგად დაარტყა, მაგრამ შეყრილაძემ რთული ბურთი მოიგერია. დამატებაზე იოსელიანსაც ჰქონდა შანსი, მაგრამ შეყრილაძემ ამჯერად მას არ გაატანია.

გათანაბრების შანსი „დილას“ ფეხბურთელებს მაინც მიეცათ, როდესაც ქუთათურთა საჯარიმოში რაჟამაშვილი შეიჭრა და დაარტყა კიდეც, მაგრამ ბურთი მოწინააღმდეგის მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავარდა.

ეს იყო და ეს — „ტორპედომ“ გეგუჩაძის მისვლის შემდეგ ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა.

**ბაია — მეტალურგი 1:2**

**ზუგდიდი.** გულია თუთბერიძის სახელობის სტადიონი

**0:1 მოდებაძე (11), 0:2 მოდებაძე (14), 1:2 მგელაძე (47).**

**ბაია:** მაქაცარია, ტყემალაძე, გუგუჩია (გუგავა 46), ნ.შონია, რიგვავა (პაჭკორია 79), ეხვაია, წურწუმია (ვეკუა 46), შ.ლომია, აფაქიძე, მგელაძე, აკობია

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, სეთურიძე (ჭედია 46), მიქაბერიძე (დობროვოლსკი 90), ქავთარაძე, ჯაფარიძე, გ.კვარაცხელია, ი.მაისურაძე, მოდებაძე (გავაშელიშვილი 90), მახვილაძე, რაზმაძე, კვახაძე

ერთ დროს ცხრილის სათავეში მყოფი „ბაია“ თავისუფალ ვარდნას განაგრძობს. ზუგდიდელებმა ზედიზედ მესამე მატჩი წააგეს და მე-6 პოზიციამდე დაქვეითდნენ.

რუსთაველების ორი თავდამსხმელიდან ხან ერთია ფორმაში და ხან მეორე. ამჯერად ირაკლი მოდებაძის რიგი დადგა და მისმა სწრაფმა გოლებმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

მოდებაძემ ანგარიში მე-11 წუთზე გახსნა, ხოლო სამ წუთში მისი გუნდი ორბურთიანი სხვაობით დააწინაურა. „ბაიამ“ მხოლოდ ის მოახერხა, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში სხვაობა ერთი ბურთით შეამცირა.

**სპარტაკი — მერანი 1:2**

**საგურამო.** ლოკომოტივის საწვრთნელი ბაზა

**0:1 გრიგალაშვილი (26), 1:1 შალამბერიძე (41), 1:2 სუხიაშვილი (81).**

**სპარტაკი:** ძაგანია, გ.სეფიაშვილი, ბოიომო, ლომაია, (ტეტუნაშვილი 57), ხუბუა, შალამბერიძე, თ.შონია, მამუჩიშვილი (ნ.მაისურაძე 58), თიბილაშვილი, ჯიქია (დეკანოიძე 77), მეტრეველი

**მერანი:** შეროზია (შენგელია 43), კაკუშაძე, ჟვანია, სუხიაშვილი, იობაშვილი, დიდავა, მანწკავა (მემარნიშვილი 46), ე.გრიგალაშვილი, ჩალაძე, ამბროლაძე (სამადაშვილი 70), ტაპე

ისევ სასიამოვნო სიუპრიზებს გვთავაზობს ჩემპიონატის დებიუტანტი მარტვილის „მერანი“. მართალია, არც ცხინვალური გუნდია დაუძლეველი ბარიერი, მაგრამ „მერანი“ მეხუთე ადგილით იწონებს თავს და 8 გუნდში მოხვედრა პრაქტიკულად გარანტირებული აქვს.

ანგარიში 26-წუთზე ელგუჯა გრიგალაშვილმა გახსნა. ტაიმის მიწურულს კობა შალამბერიძემ წონასწორობა აღადგინა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა. მეტიც, გოლი სტუმრებმა გაიტანეს და ანზორ სუხიაშვილის ზუსტი დარტყმით, მორიგი 3 ქულა ჩაიწერეს აქტივში.

**გაგრა — სიონი 0:0**

**თბილისი.** მერანის სტადიონი

**გაგრა:** სეფიაშვილი, ტყეშელაშვილი, ხუციძე (ზვიადაძე 65), სიჭინავა (ხოჯაშვილი 55), კვანტალიანი (ჭოხონელიძე 74), ჯიშკარიანი, შარიქაძე, კალანდაძე, ჯერემია, ჩხეტიანი, ყურულაშვილი.

**სიონი:** ლობჟანიძე, კობაური, ოქროპირიძე, სვანიძე, თარგამაძე, გაბრიჭიძე, ქუცურუა, ფეიქრიშვილი (ნოზაძე 90), ისიანი, რეხვიაშვილი, კემუხტაშვილი (უგულავა 68)

საკმაოდ ულიმღამო მატჩი ისე დასრულდა, როგორც ითხოვდა — მომენტებით მწირ შეხვედრაში გოლი არ გასულა.

ახლა ორივე გუნდს სერიოზული ბრძოლა მოუწევს, რომ თავი აარიდონ უსიამოვნო გადათამაშებას.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტორპედო | 13 | 9 | 1 | 3 | 17:8 | 28 |
| 2.დინამო | 13 | 8 | 2 | 3 | 27:14 | 26 |
| 3.ზესტაფონი | 12 | 8 | 2 | 2 | 25:14 | 26 |
| 4.მეტალურგი | 13 | 7 | 3 | 3 | 19:14 | 24 |
| 5.მერანი | 13 | 7 | 2 | 4 | 16:13 | 23 |
| 6.ბაია | 13 | 6 | 1 | 6 | 16:12 | 19 |
| 7.ვიტჯორჯია | 13 | 4 | 4 | 5 | 13:17 | 16 |
| 8.გაგრა | 13 | 4 | 2 | 7 | 12:17 | 14 |
| 9.კოლხეთი | 12 | 3 | 3 | 6 | 11:18 | 12 |
| 10.დილა | 13 | 3 | 2 | 8 | 17:21 | 11 |
| 11.სპარტაკი | 13 | 2 | 4 | 7 | 9:20 | 10 |
| 12.სიონი | 13 | 1 | 4 | 8 | 8:22 | 7 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო), ჯაბა დვალი (ზესტაფონი), დიმიტრი ტატანაშვილი (მეტალურგი) — 8-8 ბურთი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე ვასილ კაჭარავა, ქალიშვილი ნინო კაჭარავა, მშობლები გივი ბოკუჩავა და ნუნუ გორდეზიანი, ძმა გია ბოკუჩავა და რძალი ნინო დოიჯაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მაია კაჭარავა-ბოკუჩავა**

პანაშვიდი: 8, 9 ნოემბერს, სამშაბათსა და ოთხშაბათს, 17 საათზე, საბურთალოს ქუჩა №35, II სადარბაზო, ბინა 37.

გამოსვენება: 10 ნოემბერს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან (ლურჯი მონასტერი, მისამართი: ლეო ქიაჩელის 25).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 8 ნოემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** საფეხბურთო მიმოხილვა **13.50** აუდიტორია **15.00** სერ. **"მეორე შანსი"** **17.00** მედ-ინფო **17.30** დამზადებულია საქართველოში **17.55** **კალათბურთი**. ევროჩელენჯი. არმია (საქ.) — გილტინგენი (გერმანია) **21.00** დოკ. ციკლი "ოკუპაცია" **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.40** მხ. ფილმი **"ბოლო მომენტში"** (ჯ. დეპი) **01.35** კავკასუს ლაივი **02.35** მხ. ფილმი **"მღელვარება"** (12) (რ. ლიოტა) **04.25** მხ. ფილმი **"მაგარი სამყარო"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** სერ. **"ელიტარული უბანი"** **20.00** მხ. ფილმი **"გამიარა, მაგრამ არ დამვიწყებია"** **01.00** მხ. ფილმი **"შენნაირი ღიმილი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ვანოს შოუ **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **19.45** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** მელომანია **00.00** შუა დღე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** **16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **19.05** სერ. **"ბედისწერის ქალა"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** ბიზნეს ლიდერი **00.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.50** მხ. ფილმი **"გულთამყრობელნი"** (15) (ჯ. ლოუ) **04.00** მხ. ფილმი **"შურისძიება"** (15) (კ. კოსტნერი) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 3"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"მისი სულის მუსიკა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფილმი **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"ამანდა ო"** **12.50, 19.35** სერ. **"ადვოკატი"** **15.15** სერ. **"ექიმი ქმორი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "ჯანო ბაგრატიონი" **11.00** სალვთისმეტყველო საუბრები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"განაჩენი"** **13.35** კონცერტი — ხათუნა კოკოჩაშვილი **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"უფლისწული და მათხოვარი"** **16.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.20** მოკ. ფილმი **"გამარჯობა მარი"** **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი **"გასეირნება თბილისში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ. ფილმი **"მოხუცი და ზღვა"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**8 ნოემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6613 |
| ევრო | 2,2702 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7208 |
| რუსული რუბლი | 0,057 |

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 9–15, ღამით — 0–7

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15–18, ღამით — 29–11

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 9–12, ღამით — -5–3

## ამინდის პროგნოზი 8 ნოემბრისთვის




# 7 ნოემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის **„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“** მე-14 ტომი

**უნიკალური პროექტი**

# მარკო პოლო




**უკვე გამოცემულია „100 წიგნის“ 11 ტომი. ესენია: 1.განდი, 2.ფრანკო, 3.ჩერჩილი — პირველი ნაწილი, 4.ჩერჩილი — მეორე ნაწილი, 5.სერვანტესი, 6.მარკესი, 7.რიშელიე, 8.ნაპოლეონი, 9.ვაჟა-ფშაველა, 10. კეისრები, 11.ათათურქი, 12. კოკო შანელი, 13. ჩარლი ჩაპლინი. გამოსაცემად მზადაა: ბიტლზი, რეიგანი.**

„100 წიგნში" შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**

## ლუის მენოტი: „ბარსელონას“ ბადალი არ ჰყავს



სტაჟიან გულშემატკივრებს ალბათ კარგად ემახსოვრებათ არგენტინელი მწვრთნელი ლუის სესარ მენოტი, რომლის ხელმძღვანელობითაც ალბისელესტე 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. მენოტის საკლუბო კარიერის დროს ესპანეთში მუშაობის დიდი ხნის სტაჟი აქვს და იქაურ პრესასთან კარგი ურთიერთობაც გააჩნია. ამიტომ გასაკვირი არ იყო, როდესაც ჟურნალისტები სადღეისოდ ყველაზე აქტუალურ თემაზე, „რეალისა" და „ბარსელონას" შედარებაზე დაეკითხნენ.

— რა თქმა უნდა, „რეალი“ მიმდინარე სეზონში უკეთ ათამაშდა. უფრო მეტად აქტიურობს კაკა, განსხვავებულად მოქმედებს დი მარია. ჟოზე მოურინიომ ზოგიერთი საკითხი გადაწყვიტა, ვნახოთ, რამდენად ძლიერი იქნება გუნდი. საქმე ისაა, რომ „ბარსელონას“ ფილოსოფიის წინააღმდეგ ვერაფერს გახდები. „ბლაუგრანა“ შეიძლება ანგარიშით დამარცხდეს, მაგრამ თამაშით არა. ამ მხრივ მათ ბადალი არ ჰყავთ. ვფიქრობ, რომ „რეალი“ სეზონის განმავლობაში უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე „ბარსელონა“, — აცხადებს არგენტინელი სპეციალისტი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ასტროპროგნოზი 8 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — კარგად დაფიქრდით და გადაწყვეტილება შემდეგ მიიღეთ. **ლომი** — ნურავის ენდობით, თქვენ უკეთ იცით, რა გჭირდებათ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ბედი გწყალობთ, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **მორიელი** — ფულის პრობლემა არ გაქვთ, მთავარია არ გაფლანგოთ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ ჭორებს, მეტი საქმე არ გაქვთ? **თხის რქა** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **მერწყული** — ეს დღე მომავალზე ფიქრს დაუთმეთ, ნუ გაფლანგავთ დროს. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ყველაზე ღრმა ტბა მსოფლიოში; 2. ალგებრული ორწევრი; 3. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ტვირთის უწყვეტად გადამტანი მოწყობილობა საწარმოში; 8. ლეჩხუმის უძველესი სახელწოდება ბიზანტიურ წყაროებში; 12. უწვრილესი სისხლძარღვი; 14. მუსლიმანთა მარხვა; 16. ჰოლივუდის ზანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. ბოსტნეული მცენარე; 19. იაპონური ბრინჯის არაყი; 20. ქართული ფოლკლორული ანსამბლი.

**თარაზულად:** 5. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 6. ქართველი პიანისტი ქალი; 9. ტყის ვაშლი; 10. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 11. სატანვარჯიშო იარაღი; 13. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო, სპოროვანი მცენარე; 15. ცნობილი ქართველი დირიჟორი; 18. მუზეუმი მილანში; 21. უმაღლესი სასულიერო წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 22. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 23. ფრანგული იავნანა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**




## იუმორი



***

— ნუ ნაღვლობ, აუცილებლად დავბრუნდები.

— ვიცი, რაღა შენ და რაღა ბუმერანგი...

***

— ცხოვრება რბოლაა, სადაც ყველა წინ გავარდნას ცდილობს, რათა ფინიშთან უკანასკნელი მივიდეს...

***

— ქალი, რომელიც საკუთარ ფულს თვლის, მარტოხელაა, თუ მხოლოდ საკუთარ ფულს არ თვლის — გათხოვილია, ქალი, რომელიც საკუთარ ფულს არ თვლის, ქერის ორმოშია ჩავარდნილი, ქალი, რომოელიც სხვის სხვის ფულს არ თვლის — საყვარელია. ქალი, რომელიც სხვის ფულს თვლის — ბუღალტერია...

***

— რა ლამაზი კაბა გაცვია!

— მე არ ვარ ლამაზი?

— ჩემთან მარტო კაბა რომ შემოსულიყო, ხმას არ ამოვიღებდი...-

***

ორი ტიპი საუბრობს:

— გუშინ იმ გოგომ კომპლიმენტისთვის სილა გამაწნა!

— რამე უხამსობა უთხარი?

— ხმა საერთოდ არ ამომიღია.

— აბა, კომპლიმენტი როგორ უთხარი?

— ხელებით...

**გ. თ.**

## 2011 წლის „მის მსოფლიო“ ვენესუელის წარმომადგენელი გახდა

„მის ვენესუელა“ ივიან ლუნასოლი სარკოს კოლიმანერესი 2011 წლის „მის მსოფლიოს“ სილამაზის კონკურსის გამარჯვებული გახდა. ფინალი ლონდონში ტარდებოდა. გამარჯვებულ-




მა მაყურებელი თავისი მომაჯადოებელი ღიმილით დაატყვევა.

მეორე ადგილი ფილიპინების წარმომადგენელმა, ხოლო მესამე — პუერტო-რიკოელმა ლამაზმანმა დაიკავა.

რუსეთს კონკურსზე 20 წლის ნატალია განტიმუროვა წარმოადგენდა, რომელიც ჯილდოების გარეშე დარჩა.

კონკურსის ფინალში 122 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. კონკურსის ფინალის პირდაპირი ტრანსლაცია 150-ზე მეტ ქვეყანაში ხორციელდებოდა.

სილამაზის მსოფლიო კონკურსი პირველად 1951 წელს ჩატარდა. მაშინ გამარჯვებული შვედი გოგონა კიკი ჰაკლანსონი გახდა. სადებიუტო კონკურსში სულ 25 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

მსოფლიო სილამაზის კონკურსებში მონაწილეთა შორის იყო ოსკარის მფლობელი ამერიკელი მსახიობი ჰოლი ბერი, რომელიც 1986 წელს ფინალში გავიდა, ასევე 1994 წლის გამარჯვებული ინდოელი კინოვარსკვლავი აიშვარია რაი.

კონკურსის თორმეტი მონაწილე სხვადასხვა დროს ჯეიმს ბონდის ფილმებში მონაწილეობდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**